



ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პაბიკივებ“

ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი გაბანაძე

8. თებერვალი 2019 წელი

N 26/36

ვგზ.: N2

ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და
პრევენციის მმქანოზმები

საჩივრი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	4
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	6
1. შესავალი	9
1.1 აუდიტის მოტივაცია.....	9
1.2 აუდიტის მიზანი.....	12
1.3 შეფასების კრიტერიუმები	13
1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია	15
2. ზოგადი ინფორმაცია.....	18
2.1 ოჯახში ძალადობის დეფინიცია	18
2.2 ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმები და სახელმწიფო სერვისები	19
აუდიტის მიგნებები	23
3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირება – შინაგან საქმეთა სამინისტრო.....	24
3.1 რისკის შეფასება.....	25
3.2 წინა ისტორია	27
3.3 ოჯახში ძალადობისგან დამცავი მექანიზმების აღსრულება.....	29
3.4 მოძალადის გარიდება	32
3.5 ქალი პოლიციელის ჩართულობა	33
3.6 ეკონომიკური ძალადობა ხანდაზმულებზე	34
4. ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული მექანიზმები.....	37
4.1 უწყებათაშორისი კომისია – ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა	37
4.2 ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.....	43
4.3 სოციალური მომსახურების სააგენტო - ძალადობა ბავშვებზე	51
ბიბლიოგრაფია.....	57

გამოყენებული ტერმინები და შემოკლევები

ასკ – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

გენდერული – გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერი-სად მიიჩნევს.

დამცავი ორდერი – არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმი-ნისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია – „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადო-ბის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“.

თავშესაფარი – მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტ-როს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქო-ლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას.

კრიზისული ცენტრი – სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ად-გილი, რომელიც ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის და მასზე დამოკიდებული პირების განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და ამ სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს საც-ხოვრებლად მისი თავშესაფარში განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლო-გიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე.

მოძალადე – ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლე-ბებსა და თავისუფლებებს უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ან ეკონომიკური ძალადობით, ან იძულებით. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი, ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ან ეკონომიკურ ძა-ლადობას, ან იძულებას.

მსხვერპლი – ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი გა-ნუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამარ-თლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემ-დგომ – **მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი**). მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწ-ლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულვებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა.



ოჯახში ძალადობა – გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით, ან იძულებით.

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი – საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

სავარაუდო მსხვერპლი – პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით, შესაბამის სამსახურს/ორგანოს/მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს მიმართავს.

სსკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

სსსკ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

სსსკ-ის 11¹ მუხლი – ოჯახური დანაშაული – ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე – 141-ე, 143-ე, 144-ე – 144³, 149-ე – 151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე – 255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილგებელი, მშვილგებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

სსსკ-ის 126¹ მუხლი – ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სსსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე გათვალისწინებული შედეგი. ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით, ან უამისოდ.

2018 წლის 30 ნოემბრის ცვლილებით:

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით, ან უამისოდ.

უწყებათაშორისი კომისია – გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

ქალთა მიმართ ძალადობა – გულისხმობს ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება, ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

შემაკავებელი ორდერი – არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო.



შემაჯავებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

ოჯახში ძალადობა საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია მაღალ ადამიანურ და ეკონომიკურ დანაკარგებთან. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულება,¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულება² და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების³ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტის პერიოდი მოიცავს 2015 წლიდან 2018 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით პერიოდს.

აუდიტის ობიექტებს წარმოადგენენ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო;
- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა: ძალადობის შემთხვევებზე პოლიციის რეაგირება და სოციალური მუშაკის ჩართულობა, დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ცნობიერების დონესთან დაკავშირებული საკითხები, რომლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- აუდიტის პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის სისტემური შეფასების მექანიზმი არ იყო დანერგილი. შესაბამისად, შემაკავებელი ორდერის გამოცემა და რეაგირების ღონისძიების განსაზღვრა პოლიციის მიერ ხდებოდა ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც რიგ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა ძალადობის ფაქტებზე თანაბარზომიერ და თანმიმდევრულ რეაგირებას.
- 2018 წლის 1 სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში ამოქმედდა რისკის შეფასების მექანიზმი და განისაზღვრა ორდერის გაცემის საფუძველი, რითაც შემაკავებელი ორდერის გაცემის პროცესი უფრო თანმიმდევრული გახდა, თუმცა, გამოწვევად რჩება პოლიციის მხრიდან რისკის შეფასების ოქმის სრულყოფილად შევსება.
- აუდიტის პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორდერის პირობების შესრულების მონიტორინგი სისტემურად არ მიმდინარეობდა.⁴ შედეგად, ორდერის პირობების დარღვევის შესახებ პოლიციისთვის ცნობილი ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი თავად აცნობებდა აღნიშნულის შესახებ. რისკის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვასთან ერთად, ამოქმედდა შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის წესი, რითაც პოლიციის როლი ორდერის პირობების მონიტორინგის პროცესში გაიზარდა.

¹ საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ოჯახში ძალადობის ძირითადი ვალდებულებები გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციით, ქალთა ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) რეკომენდაციებით და გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნით.

² შინაგან საქმეთა სამინისტრო: <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>

³ UN Sustainable Development Goals, Goal 5.

⁴ 2018 წლის 1 სექტემბრამდე, მონიტორინგის ახალი წესის ამოქმედებამდე.



- ძალადობის რისკის შეფასების და რეაგირების ღონისძიების განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაციაზე დაშვება პატრულ-ინსპექტორების და უბნის ინსპექტორების შემთხვევაში, ინდივიდუალურ დონეზე განსხვავებულია. საჭირო ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა, ქმნის რისკს, რომ პოლიციის მხრიდან ძალადობის ფაქტი განიხილება, როგორც ცალკე აღებული შემთხვევა.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში⁵ ასახულია სასამართლოს მიერ 2017 წელს გამოცემული დამცავი ორდერების მხოლოდ 22%, რაც არ იძლევა დამცავი ორდერების ძალადობის ისტორიაში გათვალისწინების და მათი პირობების შესრულებაზე სათანადო ზედამხედველობის განხორციელების საშუალებას.
- მოძალადის სახლიდან გარიდება პრაქტიკაში ხშირად სირთულეებს უკავშირდება (ლამის საათებში, ნასვამობის და სახლის საკუთრების შემთხვევაში). შედეგად, ხშირია მსხვერპლის და მასზე დამოკიდებული რამდენიმე პირის თავშესაფარში გადაყვანა, რაც დისკომფორტს უქმნის მსხვერპლს და არა მოძალადეს. ძალადობის ინციდენტში მონაწილე პირთა საცხოვრებელიდან განცალკევების სამოქმედო ინსტრუქცია სამინისტროში შემუშავებული არ არის, რაც ვერ ქმნის მსხვერპლის ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების საფუძველს.
- მოხუცებზე განხორციელებული ეკონომიკური ძალადობის მიმართ რეაგირების მოქმედი მექანიზმი გარკვეულ შემთხვევებში არაქმედითია და ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადოდ დაცვას.
- უწყებათაშორისი კომისია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც საჭიროებს ანალიზით გამყარებას. ასევე სუსტია კომისიის მონიტორინგის და კოორდინაციის ფუნქციები. შედეგად, სამოქმედო გეგმა ნაწილობრივ სრულდება და ხშირია მნიშვნელოვანი საქმიანობების შემდგომ სამოქმედო პერიოდში გადატანის შემთხვევები.
- დამცავი ორდერის გამოცემის შემთხვევაში, მოძალადის ქცევის კორექციის კანონით გათვალისწინებული კურსები პრაქტიკაში დანერგილი არ არის, ასევე განუსაზღვრელია მათ დანერგვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო. შედეგად, მოძალადის მიერ ქცევის კორექციის კურსის გავლა პრაქტიკაში უზრუნველყოფილი არ არის, რაც ამცირებს ძალადობის პრევენციის ღონისძიებების პროდუქტიულობას.
- სოციალური მუშაკების არასაკმარისი რაოდენობა და მათი შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ძალადობის შემთხვევებში – მათ არასთანადოდ ჩართულობას განაპირობებს. სოციალური მუშაკები არ მუშაობენ დასვენების დღეებში, შაბათ/კვირას და არასამუშაო საათებში, მათი უფლება-მოვალეობები არაპროპორციულია მათ რაოდენობასთან შედარებით. სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვა დაახლოებით 6-ჯერ აღემატება თვეში რეკომენდებულ საქმეთა რაოდენობას.⁶

აღნიშნულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

⁵ „ოჯახში ძალადობის შესახებ“ კანონის, მე-10 მუხლის, პუნქტი 37, „ა.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოეთხოვება მხოლოდ შემაკავებელი ორდერების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვა.

⁶ სოციალურ მუშაკს აქვს თვეში, საშუალოდ, 120 საქმე; არასამთავრობო ორგანიზაცია – სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მონაცემთა თანახმად, საქმეთა რეკომენდებული რაოდენობაა – თვეში 20 საქმე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას, ინფორმირებული გადანაცვებულების მიღების და ძალადობისგან დაცვის მექანიზმების სათანადო აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილია უზრუნველყოს:
 - ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მორეაგირე პოლიციელებისთვის საჭირო ინფორმაციაზე (ძალადობის წინა ისტორია და სხვ.) ხელმისაწვდომობა, რაც შედეგად, რისკის სწორად შეფასებით, ხელს შეუწყობს მსხვერპლის დაცულობის ხარისხის გაზრდას და სამართალდარღვევაზე შესაფერისი საპასუხო ღონისძიების განსაზღვრას.
 - სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში როგორც დამცავი, ისე შემაკავებელი ორდერების აღრიცხვა, რაც შექმნის სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების წინაპირობას.
- დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობისა და ორდერების სათანადოდ აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილია მოამზადოს გარიდების პროცესის შესაბამისი ინსტრუქცია. ასევე მიზანშეწონილია, სამინისტრომ განიხილოს მოძალადის მიმართ გარიდების პრაქტიკული საშუალებების დანერგვის შესაძლებლობა.

ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კომისიამ მიზანშეწონილია უზრუნველყოს, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.
- ოჯახში ძალადობის შემთხვევების ადრეული იდენტიფიცირების ხელშეწყობის მიზნით, კომისიამ შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვანია შეიმუშაოს და დანერგოს ძალადობის ადრეული გამოვლენის მექანიზმები (მაგალითად, ბავშვების სავალდებულო სამედიცინო შემოწმების, სკრინინგის პროგრამის და ა. შ. ფარგლებში).
- მოხუცებზე ეკონომიკური ძალადობის შემთხვევებზე ქმედითი რეაგირების მიზნით, კომისიამ პასუხისმგებელ უწყებებთან (შსს, სოციალური მომსახურების სააგენტო) ერთობლივი ძალისხმევით, მიზანშეწონილია უზრუნველყოს რეაგირების არსებული პროცედურების დაზუსტება/განახლება (მოხუცებზე უგულვებელყოფის გავრცელება ან ეკონომიკურ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება), რომელიც მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გახდის მსხვერპლისათვის ამ კუთხით არსებულ სახელმწიფო სერვისებს. ასევე, კომისიამ მნიშვნელოვანია განსაზღვროს ქცევის კორექციის კურსებზე პასუხისმგებელი ორგანო და ხელი შეუწყოს მის დროულ დანერგვას.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- სოციალური მუშაკის არასამუშაო საათებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ მიზანშეწონილია დანერგოს სოციალური მუშაკების მორიგეობის მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს დასვენების დღეებში, შაბათ-კვირას და არასამუშაო საათებში ძალადობის გადაუდებელ შემთხვევებზე შეუფერხებელ რეაგირებას.




1. შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობა სპეციფიურია და ხასიათდება დაბალი გამოვლენის დონით, გარდა ამისა, ატარებს განგრძობად ხასიათს და შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.⁷

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2013 წელთან შედარებით, 2017 წელს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე დაფიქსირებული შეტყობინებების რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა. 2017 წელს ოჯახში ძალადობის ინციდენტზე სსიპ – „112-ში“ დაფიქსირებულია 22,478 შეტყობინება, ხოლო შსს-ს მიერ რეგისტრირებულია 2,192 ოჯახური დანაშაულის შემთხვევა.⁸

გრაფიკი 1. ოჯახში ძალადობის/კონფლიქტის თაობაზე შეტყობინებები „112-სა“ და შსს-ში ოჯახური დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები⁹ (2013-2017 წლები¹⁰)



ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ოჯახის ნებისმიერი წევრი, მიუხედავად მისი სქესისა, თუმცა, ინციდენტში მონაწილე პირთა ანალიზიდან ჩანს, რომ მსხვერპლთა მნიშვნელოვანი სეგმენტი, 88% – ქალები, ხოლო მოძალადეების 90% – მამაკაცები არიან.¹¹ ოჯახში ძალადობა გენდერული ნიშნით ძალადობას უკავშირდება, რადგან ქალები მამაკაცებთან შედარებით, ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.¹²

⁷ შინაგან საქმეთა სამინისტრო: <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>

⁸ მიმართვიანობის მზარდი ტენდენცია სხვადასხვა მიზეზს შორის შეიძლება მოსახლეობის ცნობიერებას უკავშირდებოდეს.


⁹ აღნიშნულ შემთხვევებზე პასუხისმგებლობა განისაზღვრა სსსკ-ის 11¹-108, 109, 117, 118, 126, 126¹ მუხლებით.

¹⁰ სსიპ – „112 -ის“ 2017 წლის მონაცემები წარმოადგენს პირველად/დაუმუშავებელ მონაცემებს.

¹¹ წყარო: „საქსტატი“: 2017 წლის მონაცემებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლია 3,599 ქალი და 497 მამაკაცი, მოძალადე – 3,492 მამაკაცი, 393 – ქალი. ძალადობა განხორციელდა ოჯახის სხვადასხვა წევრის მიმართ.

¹² ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია, პრეამბულა.

გრაფიკი 2. მოძალადის და მსხვერპლის განაწილება სქესის მიხედვით (2017 წელი)



სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ოჯახში ძალადობის შემთხვევები უფრო გავრცელებულია, ვიდრე ამაზე ოფიციალური მონაცემები მიუთითებს. გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის 2017 წლის ეროვნული კვლევის მიხედვით,¹³ რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით 15-დან 64 წლამდე ასაკის 6,006 ქალი გამოიკითხა, გამოვლინდა, რომ ცხოვრების მანძილზე, **7-დან – 1 ქალს**, მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის რომელიმე ფორმა¹⁴ გამოუცდია, რაც აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის ქალების 14%-ს (179,286 ქალი)¹⁵ შეადგენს.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, რთულია დანაშაულის რეალური რაოდენობრივი სურათის დანახვა, რადგან დაზარალებული, ხშირ შემთხვევაში, თავს არიდებს ღიად საუბარს და შესაბამისი უწყებებისთვის მიმართავს. *გემოაღნიშნული კვლევის თანახმად*,¹⁶ იმ ქალებიდან, რომლებსაც მეუღლის ან პარტნიორისგან ფიზიკური ძალადობა გამოუცდიათ, პოლიციისთვის მხოლოდ 18%-ს მიუმართავს, ხოლო ქალების 36%-ს განცდილ ძალადობაზე არავისთან უსაუბრია. ამასთანავე, მოსახლეობაში დღემდე მაღალია ძალადობის ფენომენისადმი მიმდებლობა, კერძოდ, გამოკითხულ მამაკაცთა 50% და ქალების 33% მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის საქმეა და მასში არავინ უნდა ჩაერიოს.¹⁷

¹³ UNwomen, GeoStat, National Study on Violence against Women, Summary Report, 2017.


¹⁴ ფიზიკური, სექსუალური, ემოციური/ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები.

¹⁵ საქსტატის 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში 15-64 ასაკის 1,255,000 ქალია.

¹⁶ UNwomen, GeoStat, National Study on Violence against Women, Summary Report, 2017.

¹⁷ UNwomen, GeoStat, National Study on Violence against Women, Summary Report, 2017.

გრაფიკი 3. მკვლელობის (სსსკ-ის 108, 109 მუხლები) და ოჯახური დანაშაულის ნიადაგზე მკვლელობის (სსსკ-ის 111 -108,109 მუხლები) შედარება (2013 – 2017 წლები¹⁸)



2013 წელთან შედარებით, 2017 წელს მკვლელობების 18%-ით შემცირების ფონზე, ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა (ზრდის გამომწვევი მიზეზები უცნობია). 2017 წელს რეგისტრირებული მკვლელობის **25%** (ყოველი მეოთხე) ჩადენილია ოჯახური დანაშაულის შედეგად, ხოლო დანაშაულებრივად გარდაცვლილ ქალთა **50%** (ყოველი მეორე)¹⁹ მოკლულია ოჯახში ძალადობის ნიადაგზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მთავრობისთვის და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.²⁰

ამასთანავე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულება²¹ და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი, რომელიც მოიცავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ხაზს უსვამს საჭარო და კერძო სფეროებში ძალადობის აღმოფხვრის მნიშვნელობას.

საქართველოს მთავრობის მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, ბოლო წლებში რიგი ღონისძიებები გატარდა, რომელთაგან აღსანიშნავია ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღება, ძალადობის კრიმინალიზაცია, ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრება²² და შსს-ს ფარგლებში სპეციალური დეპარტამენტის შექმნა, რომელიც მონიტორინგს უწევს ოჯახურ დანაშაულზე მიმდინარე გამოძიებას.

¹⁸ წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო.


¹⁹ 2017 წელს მოკლეს 26 ქალი, მათ შორის, ოჯახში ძალადობის ნიადაგზე – 14 (54%), 73 კაციდან – 11 (15%) მოკლულია ოჯახური დანაშაულის ნიადაგზე.

²⁰ შინაგან საქმეთა სამინისტრო: <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>

²¹ საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ოჯახში ძალადობის ძირითადი ვალდებულებები გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციით, ქალთა ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) რეკომენდაციებით და გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნით.

²² შსს მინისტრის 2014 წლის 9 დეკემბრის N45 ბრძანება „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრების შესახებ“. ოჯახში ძალადობის დროს, როდესაც სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებს მისთვის ფიზიკური ტკივილის ან/და ტანჯვის მიყენებაზე, დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყება და შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რამაც, შესაბამისად, სსსკ-ის 126¹ მუხლით რეგისტრირებული დანაშაულისა და გამოცემული შემაკავებელი ორდერების ზრდა განაპირობა.

გრაფიკი 4. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები წლების მიხედვით



ამასთანავე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა 5 სახელმწიფო თავშესაფარი, 3 კრიზისული ცენტრი, დაინერგა ფსიქოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული დახმარების სერვისები და 24 - საათიანი უფასო საკონსულტაციო ცხელი ხაზი.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ძალისხმევისა, აუდიტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია მიუთითებს სისტემურ ნაკლოვანებებზე, როგორც რეაგირების, ასევე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ჩარჩო/ღონისძიებების საკმარისობის და პროდუქტიულობის თვალსაზრისით.

1.2 აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია ოჯახში ძალადობის პრევენციის და რეაგირების მექანიზმების პროდუქტიულობის და ეფექტიანობის კუთხით შესწავლა. აუდიტის მიდგომა სისტემასა და პრობლემაზე ორიენტირებული აუდიტის კომბინაციაა.

ზემოაღნიშნული მიზნით, აუდიტის კითხვებად განისაზღვრა შემდეგი:

- რამდენად ადეკვატურია²³ შესაბამისი ორგანოების მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირება?
- რამდენად საკმარისი და პროდუქტიულია ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული მექანიზმები?

²³ აუდიტის მიზნებისთვის, ადეკვატური რეაგირების ქვეშ მოიაზრება შესაბამისი მხარეების მიერ (პოლიცია) ძალადობის შემთხვევაზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში იმგვარი რეაგირება, რომ მსხვერპლის ფიზიკური უსაფრთხოება და ინტერესი მაქსიმალურად იყოს დაცული/გათვალისწინებული.

1.3 შუასაბუთის პრინციპები

შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულია საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპი „ჭეროვანი ძალისხმევის სტანდარტი“ (*the Due Diligence Standard*), რომელიც წარმოადგენს ოჯახში ძალადობის დანაშაულზე სახელმწიფოს რეაგირების შეფასების მექანიზმს.²⁴ ჭეროვანი ძალისხმევის სტანდარტის მიხედვით, სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან მოახდინონ ოჯახში ძალადობის დანაშაულის პრევენცია, დაიცვან მსხვერპლი, გამოიძიონ საქმე, დასაჯონ მოძალადე და უზრუნველყონ ზიანის ანაზღაურება.²⁵

გრაფიკი 5. ჭეროვანი ძალისხმევის სტანდარტი



გათვალისწინებული საკითხებიდან, აუდიტის ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია **პრევენციის** და **დაცვის** მიმართულებებზე ორიენტირება. აღნიშნულის ფარგლებში, შესაბამისი ორგანოების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები დაკონკრეტებულია გაეროს სპეციალური მომხსენებლის²⁶ მიერ შემუშავებულ მოდელურ კანონმდებლობაში (Model Legislation), რომელიც ქვეყნებისთვის აწესებს ოჯახში ძალადობისაგან სამართლებრივი დაცვის რეკომენდებულ მინიმუმს. აღნიშნულის მიხედვით მნიშვნელოვანია:

²⁴ Lee Hasselbacher, State Obligations Regarding Domestic Violence: The European Court of Human Rights, Due Diligence, And International Legal Minimums of Protection, 8 Nw. J. Int'l Hum., 2010.

²⁵ 5 P – Prevent, Protect, Prosecute, Punish, Provide Redress.

²⁶ Special Rapporteur on Violence against Women, Framework for Model Legislation on Domestic Violence, U.N. Doc. E/CN.4/1996/53/Add.2. Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR) appoints Special Rapporteur on violence against women and domestic violence who has special mandate to undertake country visits, submit annual reports, transmits urgent appeals and communications to States regarding alleged cases of violence.

- პოლიციამ თანაბარი პრიორიტეტი მიანიჭოს, როგორც ოჯახის წევრების, ასევე სხვა პირების მიერ ჩადენილ ძალადობის ფაქტებს.
- მოხდეს განმცხადებლის დაცვა და დამნაშავის სახლიდან გარიდება ან დაკავება, თუ დაზარალებული საფრთხეშია.
- არსებობდეს დამცავი/შემაკავებელი ორდერების გამოცემის მექანიზმი, რომელიც მოძალადეს აუკრძალავს კონტაქტს განმცხადებელთან. შედეგად, ძალადობის განმეორება შექმნის პოლიციისათვის მოძალადის დაკავების საფუძველს.
- პოლიციამ და სასამართლომ განახორციელონ ორდერით განსაზღვრული პირობების შესრულების მონიტორინგი და მათი დარღვევა მიიჩნიონ დანაშაულად, რომელიც გამოიწვევს მოძალადის დაკავებას ან დაჯარიმებას.
- მოხდეს ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია – ძალადობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და დამნაშავის დასჯა.²⁷

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის სისტემა კომპლექსურია, რადგან მოითხოვს ერთობლივ და კოორდინირებულ ძალისხმევას სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მხრიდან. საუკეთესო შემთხვევაში, სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: 28

გრაფიკი 6. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა ²⁹



²⁷ U.N. Economy & Social Council, Radhika Coomaraswamy, Report of the Special Rapporteur on Violence Against Women, Its Causes and Consequences, U.N. Doc. E/CN.4/1996/53, 1996.

²⁸ State Government of Victoria, Family Violence Risk Assessment and Risk Management Framework and Practice Guides, Australia, 2012.

²⁹ შავად მონიშნული სერვისები სუსტია ან არ არის საქართველოში დანერგილი.



აუდიტის კრიტერიუმებად ასევე გამოყენებულია სხვადასხვა ქვეყნის (სლოვენია, მოლდოვა) კარგი პრაქტიკის მაგალითები, ადგილობრივი და საერთაშორისო ნორმატიული აქტები:

საერთაშორისო კონვენციები:

- „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ (სტამბოლის კონვენცია (2011)), საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2017 წლის 5 აპრილს და ძალაშია 2017 წლის 1 ივლისიდან;
- გაეროს „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ (1989), რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და ძალაშია 1994 წლიდან;
- გაეროს „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW, 1979), რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლიდან.

საქართველოს კანონები/ბრძანება-ინსტრუქციები

- საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (2006);
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის ბრძანება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 20 ივლისის ბრძანება „შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ოქმებისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები შესახებ“;
- სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის N04-519/ო ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“.

1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია


აუდიტის პერიოდი მოიცავს 2015 წლიდან 2018 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით პერიოდს. აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე გამოყენებულია წინა პერიოდის ინფორმაცია.

აუდიტის მასშტაბი მოიცავს ოჯახში ძალადობისგან დაცვის და პრევენციის ღონისძიებებს და არ ვრცელდება მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო სერვისებზე.

აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა შემდეგი:



გრაფიკი 7. აუდიტის ობიექტები



აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად, შემუშავდა ძირითადი პროცედურები, რომლის ფარგლებში შესწავლილ იქნა ოჯახში ძალადობისგან დაცვის არსებული სისტემა, კერძოდ, ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების და მსხვერპლთა დაცვის მოქმედი პრაქტიკა. აღნიშნული საკითხების შესწავლისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის გაცნობა და ანალიზი;
- სამართლებრივი ბაზის და ადგილობრივი სამოქმედო გეგმების ანალიზი;
- ოჯახში ძალადობისგან მსხვერპლთა დაცვის პროცედურების მართვის და ადმინისტრირების მოქმედი პრაქტიკის ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების, დოკუმენტური და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი;
- აუდიტის ობიექტებთან (შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან) ინტერვიუები;
- სამუშაო შეხვედრები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:
 - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR);
 - სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW);
 - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA);
 - ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC);
 - ქალთა საკონსულტაციო ცენტრი - „სახლი“;
 - სახალხო დამცველი;
 - გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women).



- **ბენეფიციარების გამოკითხვა** – გამოკითხვა განხორციელდა თბილისის და გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის ბენეფიციარებთან. გამოკითხვა მიზნად ისახავდა ბენეფიციართა გამოცდილების გაცნობის გზით, ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების, დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის და ცნობიერების დონესთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრას.

გასაუბრება განხორციელდა იმ ბენეფიციარებთან, რომლებიც გამოკითხვის დროს სარგებლობდნენ სერვისებით და რომლებიც ნებაყოფლობით დათანხმდნენ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე. გამოკითხვა ჩატარდა თბილისის და გორის თავშესაფრების 10 და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის - 11 ბენეფიციართან (სულ: 21 ბენეფიციარი).

- **პროფესიული ჯგუფების გამოკითხვა** – გამოკითხვა ჩატარდა რელევანტურ პროფესიულ ჯგუფებთან, კერძოდ, შსს-ს მიერ გამოყოფილ 4 პატრულ-ინსპექტორსა და 4 უბნის ინსპექტორთან. გამოკითხვა ემსახურებოდა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების სირთულეების დადგენას.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად, აუდიტის ჯგუფმა განახორციელა შემდეგი პროცედურები:

1. ჩამოვსად აღეკვეთა უსაბამისი ორგანოების მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ჩაბმება?

ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე განხორციელებული რეაგირების ადეკვატურობის შეფასების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა არსებული ინფორმაციული ბაზები, სსიპ – „112-ში“ დაფიქსირებული შეტყობინებები, ასევე დოკუმენტურად შეისწავლა მიღებული 132 შემთხვევითი ორდერი (55 – რისკის შეფასება, 50 – ძალადობის განმეორება, 27 – განხორციელებული რეაგირება).³⁰ გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა გამოკითხა პატრულ-ინსპექტორები, უბნის ინსპექტორები და თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარები.

2. ჩამოვსად საკმარისი და პროფესიული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიებები?

ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებების შესწავლის ფარგლებში, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა სამოქმედო გეგმით³¹ გათვალისწინებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და მათ შესრულების სტატუსზე არსებული ინფორმაცია. ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების დატვირთულობა და მათი გეოგრაფიული გადანაწილება. აუდიტის მასშტაბის ფარგლებში, ჩატარდა ადგილობრივი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი ევროპის საბჭოს კონვენციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

³⁰ შერჩეული შემთხვევითი ორდერების შესწავლა არ მომხდარა მათი ექსტრაპოლაციის მიზნით, არამედ ცალკეული სისტემური ნაკლოვანების საილუსტრაციოდ.

³¹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N341 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 ოჯახში ძალადობის დეფინიცია

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ ოჯახში ძალადობას განმარტავს, როგორც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით, ან იძულებით.³² კანონით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის 6 ფორმა:

გრაფიკი 8. ძალადობის ფორმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

ფიზიკური ძალადობა	ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს, ან ტანჯვას.
ფსიქოლოგიური ძალადობა	შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.
იძულება	ადამიანის იძულება, შეასრულოს, ან არ შეასრულოს მოქმედება ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.
სექსუალური ძალადობა	სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით.
ეკონომიკური ძალადობა	ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და სხვა პირობებით თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის შეზღუდვას.
უგულებელყოფა	მშობლის მიერ არასრულწლოვნის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბავშვო განათლების უფლების შეზღუდვა.


ოჯახში ძალადობის კანონის მოქმედება ვრცელდება ოჯახის წევრთა წრეზე, რომელიც ასევე მოიცავს ყოფილ მეუღლეს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს, მათი ოჯახის წევრებს და იმ პირებს, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, ორდერების 62% პარტნიორის მიმართ (ქმარი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, ყოფილი ქმარი) არის გამოწერილი.

³² საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 3, 2006 წელი.




გრაფიკი 9. გამოცემული ორდერების მიხედვით, პირთა ნათესაური კავშირები (2017 წელი) ³³



ოჯახში ძალადობის დანაშაულისთვის დამახასიათებელია ძალათა ასიმეტრია. ერთი მხარე (მოძალადე) ფლობს მატერიალურ, ფიზიკურ, ინტელექტუალურ ან ემოციურ უპირატესობას მეორე მხარის (მსხვერპლი) მიმართ, რითაც ცდილობს მეორე მხარის დამორჩილებას.³⁴

გრაფიკი 10. შსს-ში რეგისტრირებული ოჯახური დანაშაულები (2015-2017 წლები)³⁵



ოჯახში ძალადობა განსაკუთრებით ბავშვების ჯანმრთელობას აზიანებს, მაშინაც კი, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მსგავსი ქმედების მოწმენი არიან. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ, ფიზიკურ და ემოციურ პრობლემებს.³⁶

³³ 2017 წელს მოძალადეების აბსოლუტური რაოდენობა, ორდერების ბაზის მიხედვით – 4,522.

³⁴ ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, 2010 წელი.

³⁵ განზრახ მკვლელობა (სსსკ-ის 11¹ – 108, 109 მუხლები), განზრახ მკვლელობის მცდელობა (სსსკ-ის 11¹ – 19; 108, 109 მუხლები), განზრახ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება (სსსკ-ის 11¹ – 117 მუხლები), წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

³⁶ შინაგან საქმეთა სამინისტრო: <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>


2.2 ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმები და სხვადმნოჯო სეფოსები

ოჯახში ძალადობის ფაქტზე განცხადების დაფიქსირება შესაძლებელია ერთიან საგანგებო ნომერზე: 112 და სპეციალურ საკონსულტაციო ცხელ ხაზზე: 116 006, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ. განმცხადებელს შეუძლია ასევე პირდაპირ მიმართოს პოლიციის ტერიტორიულ განყოფილებას.

მსს-ში შეიქმნა 112-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც SOS ღილაკის, ჩატის და ზარის განხორციელების საშუალებით, პირს შესაძლებლობას აძლევს დაუკავშირდეს 112-ის ოპერატორს. 112-ის მობილურ აპლიკაციაში ასევე მოცემულია ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისების შესახებ, შესაბამისი ორგანიზაციების და ცხელი ხაზის საკონტაქტო ინფორმაცია.

განმცხადებელი შეიძლება იყოს როგორც თავად დაზარალებული პირი, ასევე სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი და სხვა ნებისმიერი სუბიექტი ან პირი (მეზობელი, მეგობარი, ნათესავი).

გრაფიკი 11. ოჯახში ძალადობისგან დაცვის მოქმედი სისტემა³⁷



³⁷ ისრით წარმოდგენილი თანმიმდევრობა არ არის ფიქსირებული და ემსახურება მხოლოდ მთავარი მხარეების ურთიერთკავშირის ილუსტრაციას. მსხვერპლმა შეიძლება ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით გაიაროს აღნიშნული პროცესი, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.



ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პირველად რეაგირებას ახდენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო ან კრიმინალური პოლიციის შესაბამისი დეპარტამენტი. თუ დანაშაულის ჩადენის ადგილზე³⁸ არ ვრცელდება საპატრულო პოლიციის მოქმედების არეალი, საქმეში ერთვება საუბნო სამსახური – უბნის ინსპექტორი.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე მსხვერპლის დაცვის და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო გამოსცემს დამცავ ან **შემაკავებელ ორდერს**. **დამცავ ორდერს** გამოსცემს პირველი ინსტანციის სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო შემაკავებელ ორდერს – პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით.

აღნიშნულ ორდერებს შორის ძირითადი განსხვავება გამომცემი სუბიექტის, მოქმედების ვადის, გასათვალისწინებელი საკითხების და ძალაში შესვლის სპეციფიკურობაში მდგომარეობს. ორდერებს შორის ძირითადი განსხვავებები იხ. დიაგრამაზე.

დიაგრამა 12. ძირითადი განსხვავება შემაკავებელ და დამცავ ორდერებს შორის³⁹

შემაკავებელი ორდერი	დამცავი ორდერი
• ოჯახში ძალადობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ადგენს პოლიციელი • მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება და სხვ. • გაიცემა 1 თვემდე ვადით • დარღვევის შემთხვევაში, პატიმრობა 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაო 1 თვემდე ვადით	• გაიცემა სასამართლოს მიერ, მსხვერპლის განცხადების საფუძველზე, 10 დღის ვადაში • ითვალისწინებს მსხვერპლის დაცვის ზომებს • მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება • მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობა • მოძალადის მიერ ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსის გავლა (პრაქტიკაში დანერგილი არ არის) • გაიცემა 6 თვემდე ვადით • დარღვევის შემთხვევაში, პატიმრობა 15 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოები 3 თვემდე ვადით.

³⁸ პატრული ფარავს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 45%-ს, ძირითადად, დიდ ქალაქებს. სხვა ტერიტორიულ ერთეულებში პატრულის ფუნქციები დელეგირებულია უბნის ინსპექტორებზე/კრიმინალურ პოლიციაზე. გარდა ამისა, ინციდენტებზე რეაგირების გადანაწილება განსხვავდება ტერიტორიულ დონეზე, მაგალითად, მცხეთა პატრულის სამოქმედო არეალია, მაგრამ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას ახდენს უბნის ინსპექტორი.


³⁹ 2018 წლის 28 დეკემბრიდან შემაკავებელი და დამცავი ორდერების პირველივე დარღვევა არის სისხლის სამართლის დანაშაული.

შესაძლებელია შემაკავებელი და დამცავი ორდერი გაუქმდეს, მხარეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე.

თუ ძალადობის ფაქტისას შეინიშნება სსსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გარდა, იწყება სისხლისსამართლებრივი დევნაც, რაშიც ერთვებიან საგამოძიებო ორგანოები.

ამასთანავე, მსხვერპლს შეუძლია სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა, თუ მოხდა მისი დაზარალებულად ცნობა ან მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი.⁴⁰ მსხვერპლის სტატუსის მიღების რამდენიმე გზა არსებობს, ესენია:

გრაფიკი 13. მსხვერპლის სტატუსის მოპოვების გზები



მსხვერპლის სტატუსის საფუძველზე, დაზარალებულს შეუძლია ისარგებლოს სპეციალური თავშესაფრით,⁴¹ რომელიც ბენეფიციარებს უზრუნველყოფს სადღეღამისო საცხოვრისით, ფსიქოლოგიური/სოციალური რეაბილიტაციით, სამედიცინო მომსახურებით, სამართლებრივი დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის და სხვა მომსახურებებით.⁴²

ამჟამად არსებობს 5 თავშესაფარი: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და სიღნაღში.⁴³ მსხვერპლის მოთავსება ხორციელდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მსხვერპლის თავშესაფარში ცხოვრების ვადა ექვმდებარება გაგრძელებას.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებამდე, სავარაუდო მსხვერპლი შესაძლოა განთავსდეს **კრიზისულ ცენტრში**, თუ აუცილებელია მისი მოძალადისგან განცალკევება.

თუ მსხვერპლს არ სურს თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში განთავსება, მაშინ პოლიცია უფლებამოსილია, მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მოძალადის საკუთრებაა.

⁴⁰ სსსკ-ის 126¹ ან 11¹ მუხლებით.

⁴¹ თავშესაფრები ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულებია.

⁴² სახელმწიფო ფონდის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი.

⁴³ ასევე არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები თბილისსა და რუსთავში.



აუდიტის მიზნობები

აუდიტის შედეგად ნაკლოვანებები გამოვლინდა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ოჯახში ძალადობის შემთხვევის რისკის შეფასება და მართვა;
- შემაკავებელი/დამცავი ორდერების პირობების მონიტორინგი და აღსრულება;
- მრავალსექტორული თანამშრომლობა ძალადობის ადრეული გამოვლენის პროცესში;
- ბავშვზე ძალადობის შემთხვევებში სოციალური მუშაკის ჩართულობა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და უწყებების თანამშრომლების პროფესიული გადამზადება ოჯახში ძალადობის საკითხებზე;
- მოძალადის ქცევის კორექცია.

გრაფიკი 14. მიზნების მოკლე მიმოხილვა



3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ჩაბრუნება – შინაგან საქმეთა სამინისტრო

ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე ადევნებული რეაგირების განხორციელება მოითხოვს ძალადობის შემთხვევის რისკის შეფასებას. მტკიცებულებაზე დაფუძნებული რისკის შეფასების მოდელის გამოყენება აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ზრდის მსხვერპლის საჭიროებაზე სათანადო პასუხის გაცემის და რისკებზე სწორად რეაგირების შესაძლებლობას. რისკის შეფასების სისტემა, პოლიციის შესაბამის თანამშრომელს ეხმარება ძალადობის ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებაში.

ძალადობის კონკრეტული შემთხვევის რისკის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- *მსხვერპლის მიერ აღქმული რისკის ხარისხი* – აღნიშნულის გათვალისწინება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მსხვერპლი კარგად იცნობს მოძალადეს და მისი საფუძვლიანი შიში აღქმული უნდა იყოს სერიოზულად.
- *ძალადობის ისტორია* – აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია მდგომარეობის სერიოზულობის შესაფასებლად, მაგალითად, ადრე თუ იყო გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, მოქმედებაშია თუ არა შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, ნასამართლეობა, ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება და ა.შ.

2017 წელს საქართველოში 26 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა, რომელთაგან 14 ფაქტი (54%) ჩადენილია ოჯახის წევრის მიერ. ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობის 14 ფაქტიდან 10-ზე დადგა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. დანარჩენ შემთხვევებში, საქმე შეწყდა შესაბამისი გარემოებების საფუძველზე.⁴⁴ აუდიტის ჯგუფმა განიხილა ოჯახური დანაშაულის ნიშნით ქალის 9 – მკვლელობის და 8 – მკვლელობის მცდელობის შემთხვევა.⁴⁵

ცხრილი 15. ქალთა მკვლელობების სტატისტიკა 2014-2018 წლები (2018 წლის 9 თვე)⁴⁶

წელი	2014	2015	2016	2017	2018 (9 თვე)
სულ:	34	18	32	26	11
ოჯახში	17	8	14	14	5
%	50%	44%	44%	54%	45%

⁴⁴ 3 ფაქტზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 1 ფაქტზე შეწყდა გამოძიება, ისეთი მიზეზების გამო როგორც არის ბრალდებულის შეურაცხადობა და გარდაცვალება. სახალხო დამცველი ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2017.

⁴⁵ საქმეები წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში, 2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი.

⁴⁶ შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, ქალთა მკვლელობის ანალიზი, 2018.



შემთხვევების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ 9-დან 7 მკვლელობის (78%)⁴⁷ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენამდე მსხვერპლს ძალადობასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოსთვის არ მიუმართავს. პოლიციაში მიმართვა ფიქსირდება 2 მსხვერპლის შემთხვევაში. ერთმა მიმართა 4-ჯერ და შედეგად გაცემულია ერთი შემაკავებელი ორდერი, ხოლო მეორემ მიმართა 18-ჯერ და მასთან დაკავშირებით გაცემულია 3 შემაკავებელი ორდერი.

2017 წელს მომხდარ, გემოაღნიშნულ უმეტეს შემთხვევაში ახლობლებმა იცოდნენ ძალადობის თაობაზე, რაც ანგარიშის⁴⁸ თანახმად, მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, თუმცა მათ შესაბამისი ზომები არ მიუღიათ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ცნობიერების პრობლემას.

ამასთანავე, 2017 წელს მომხდარი 17 მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის შემთხვევებიდან – 5 შემთხვევაში (30%), შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ოჯახში არსებული შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ, ხოლო 2016 წელს შსს ინფორმირებული იყო 11-დან 6 შემთხვევაში (55%).⁴⁹ მიუხედავად ამისა, შედეგის პრევენცია ვერ მოხერხდა. უკეთესი შედეგის მიღწევაში შესაძლოა ხელის შემშლელი ფაქტორები იყოს ინციდენტებზე რეაგირების შემდეგი ნაკლოვანებები:

3.1 რისკის შეფასება

სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, ოჯახში ძალადობის კონკრეტული შემთხვევის რისკის შეფასების შედეგად, ხდება მტკიცებულებაზე დაფუძნებული რისკ-ფაქტორების (Red Flags) გამოვლენა, რომელთა არსებობა მომატებული რისკის მანიშნებელია. რისკ-ფაქტორების არსებობა ნიშნავს, რომ შემთხვევა მაღალი რისკის შემცველია და საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ილუსტრაციისთვის ქვემოთ წარმოდგენილია რისკ-ფაქტორების ჩამონათვალი (რომელიც არ არის ამომწურავი):

- ფიზიკური ძალადობის წინა ინციდენტები
- ურთიერთობის დასრულება (დაშორება, გაცილება)
- იარაღზე ხელმისაწვდომობა
- სიცოცხლის ხელყოფის მუქარა
- ადევნება
- მაკონტროლებელი ქცევა (Obsessive Controlling Behavior)
- დამნაშავის დეპრესია

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტისა და ისეთი მაღალი რისკის შემთხვევების მიმართ, სადაც იკვეთება ფიზიკური ძალადობის ინციდენტები, მუქარა სიცოცხლის ხელყოფით და ა.შ., გამოყენებულია ერთი და იგივე საპასუხო ზომა – შემაკავებელი ორდერი (30 დღის ვადით).

⁴⁷ პროკურატურის მონაცემებით, სასამართლომ ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობის 10 საქმე განიხილა, ხოლო სახალხო დამცველის ანგარიშში განხილულია ინფორმაცია 9 საქმეზე.

⁴⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში, 2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი.

⁴⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, გვ. 21, 2018 წელი.



გრაფიკი 16. რისკთან შეუსაბამო რეაგირების ილუსტრაცია



აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ 2018 წლის 1 სექტემბრამდე, დაცვის ღონისძიების განსაზღვრისას, პოლიციელი ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის სისტემურ შეფასებას არ ახდენდა შესაბამისი მექანიზმის არარსებობის გამო. შედეგად, შემაკავებელი ორდერის გაცემა, ძალადობის ფორმის კვალიფიკაცია და რეაგირების ღონისძიების განსაზღვრა პოლიციის მიერ ხდებოდა ინდივიდუალური გადანყვეტილების საფუძველზე, რის შედეგადაც, პოლიციის რეაგირება ხშირად არ წარმოადგენდა თანაბარზომიერ და თანმიმდევრულ ქმედებას.

რისკის შეფასების მექანიზმის აშორება

2018 წლის 1 სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში დაინერგა ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების მექანიზმი. რისკის შეფასების მექანიზმი შედგება შემაკავებელი ორდერის ოქმის კითხვარისაგან, რომელსაც პოლიციელი ავსებს მსხვერპლთან გასაუბრებით.

შემაკავებელი ორდერის ოქმში მოცემულია 22 შეკითხვა. თითოეული შეკითხვა შეფასებულია გარკვეული ქულით, რაც ძალადობის განმეორების რისკს განსაზღვრავს. მაგალითად, თუ დადებითი პასუხი დაფიქსირდა, მინიმუმ, ერთ შეკითხვაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 5 ქულა, საქმე მაღალი რისკის შემცველად ითვლება. მინიმუმ 3 ქულის დაგროვების შემთხვევაში, გამოცემა შემაკავებელი ორდერი. აღნიშნულის შედეგად, დგინდება **ორდერის გამოცემის საფუძველი**, რაც მის გამოცემას უფრო თანმიმდევრულს ხდის.

გრაფიკი 17. რისკის შეფასების ოქმის მიხედვით, რისკის განსაზღვრის მეთოდი



შემაკავებელი ორდერების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება (იხ. გრაფიკი 20), 2017 წელს თვეში საშუალოდ 574 ორდერი გამოიცა.⁵⁰ რისკის შეფასების მექანიზმის ამოქმედებიდან 1 თვის მანძილზე (1-დან 30 სექტემბრის ჩათვლით) შეივსო 796 შემაკავებელი ორდერის ოქმი. აქედან, 50 შემთხვევაში, ძალადობის განმეორების საფრთხეებისა და რისკების არარსებობის გამო, არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე, ხოლო დანარჩენ 647 შემთხვევაში, გამოიცა შემაკავებელი ორდერი.⁵¹ შესაბამისად, სექტემბერში შემაკავებელი ორდერის ოქმების შევსების 94% შემაკავებელი ორდერების გაცემით დასრულდა.

აუდიტის ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რეგიონების მასშტაბით შეისწავლა 2018 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გამოცემული 55 ორდერი. მათი შესწავლით გამოვლინდა, რომ 35% შევსებულია არასრულად, კერძოდ, ისეთ შეკითხვებზე,⁵² რომლებიც მოითხოვს დადებითი პასუხის შემთხვევაში ინფორმაციის დაკონკრეტებას, ინფორმაცია მითითებული არ არის.⁵³ გარდა ამისა, ორდერების 9% (5 შემთხვევა) გაცემულია მიუხედავად იმისა, რომ დაგროვებული ქულები არ აკმაყოფილებს ორდერის გამოცემის 3-ქულიან ზღვარს.⁵⁴

2018 წელს შეინიშნება ოჯახური დანაშაულის ნიადაგზე ჩადენილი მკვლევლობების რაოდენობის შემცირება. 2017 წელს დაფიქსირდა ოჯახური ნიშნით ქალის მკვლევლობის 14 ფაქტი, ხოლო 2018 წლის 10 თვეში – მხოლოდ 5 ფაქტი. 2018 წელს არ ყოფილა არცერთი მკვლევლობა ქმრის ან ყოფილი ქმრის მიერ, მაშინ როცა 2017 წელს ეს რიცხვი 10-ს შეადგენდა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ოჯახური ნიშნით მკვლევლობის ფაქტი შემაკავებელი ორდერის

⁵⁰ შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში, 2018 წლის ოქტომბერი.

⁵¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რისკების შეფასების ინსტრუმენტის მონიტორინგის ანგარიში, 2018 წელი, გვ. 2.

⁵² მაგალითად, მე-19 კითხვის მიხედვით, „იყო თუ არა სავარაუდო მოძალადის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერი?“ – დადებითი პასუხის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს ინფორმაცია თითოეული მათგანის შესახებ.

⁵³ რისკის შეფასების ინსტრუმენტი დაინერგა დისტანციური სწავლების გზით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დროის მცირე მონაკვეთში მისი დანერგვა. დისტანციური სწავლების კურსი გაიარა 10,000-მა პოლიციის მუშაკმა. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შსს-ში დაგეგმილია პირადი კომუნიკაციის გზით ტრენინგების ჩატარება.

⁵⁴ განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციელს შეუძლია ორდერი გამოსცეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქულათა რაოდენობა 3-ზე ნაკლებია.


მოქმედების პერიოდში არ დაფიქსირებულა.⁵⁵ ზემოაღნიშნული ეფექტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს შსს-ს მიერ შესაბამისი ღონისძიებების გატარებასა და ძალადობის ფაქტებზე გამკაცრებულ რეაგირებასთან.

3.2 წინა ისტორია

ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე სათანადოდ რეაგირების და სწორი დამცავი ღონისძიების განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვანია უფლებამოსილ პოლიციელს გააჩნდეს ძალადობის ისტორიაზე ინფორმაციის გადამოწმების და მხედველობაში მიღების შესაძლებლობა. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს საკითხებს, როგორიცაა: წინა გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, მოქმედებაში მყოფი შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, ნა-სამართლეობა, ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება და ა.შ.⁵⁶ აღნიშნულ ინფორმაციას პოლიციელი ასევე უთითებს შემაკავებელი ორდერის ოქმში, რითაც განისაზღვრება ძალადობის გამეორების რისკის ხარისხი.

გარდა ამისა, ძალადობის ისტორიის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სამართალდარღვევის მიმართ სწორი საპასუხო ზომის შერჩევის მიზნით, კერძოდ, ორდერის პირობების განმეორებით დარღვევა ითვალისწინებს უფრო მკაცრ საპასუხო ზომას, ვიდრე დარღვევის პირველი შემთხვევა.⁵⁷ მნიშვნელოვანია, მორეაგირე პოლიციელს გააჩნდეს ინფორმაცია პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რათა გამოავლინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებითი შემთხვევები.

გრაფიკი 18. ორდერის პირობების დარღვევა ადმინისტრაციული ასკ-ის 175² და სისხლის სამართლის სსსკ-ის 381¹ მუხლები⁵⁸ (2015-2018 წლის 9 თვე)



⁵⁵ შსს-ს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ქალთა მკვლევარების ანალიზი, 2017-2018 წლები.

⁵⁶ ავტორთა ჯგუფი, ოჯახში ძალადობის საკითხებზე პოლიციელთა სახელმძღვანელო, 2010 წელი.

⁵⁷ ორდერის მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (ასკ-ის 175² მუხლი), განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, პირი ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (სსსკ, 381¹ მუხლი). კანონში შესული ცვლილებით, **2018 წლის 28 დეკემბრიდან** ორდერით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, პირდაპირ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

⁵⁸ ორდერის მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (ასკ-ის 175² მუხლი), განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, პირი ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (სსსკ, 381¹ მუხლი). კანონში შესული ცვლილებით, **2018 წლის 28 დეკემბრიდან** ორდერით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა პირდაპირ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.



უფლებამოსილ პირებთან, მათ შორის, პატრულ-ინსპექტორებსა და უბნის ინსპექტორებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ძალადობის ისტორიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე დაშვება, პატრულ-ინსპექტორების და უბნის ინსპექტორების შემთხვევაში, თანამდებობების მიხედვით (ინდივიდუალურ დონეზე) განსხვავებულია. გამოკითხული 4 უბნის ინსპექტორიდან, რომელიც უშუალოდ ახდენს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას, 3-ს ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს, ხოლო ერთს აქვს შეზღუდული წვდომა ორდერების ბაზაზე.

ცხრილი 19. ინფორმაციულ ბაზებზე წვდომა

N	ინფორმაცია	პატრულ-ინსპექტორი	უბნის ინსპექტორი
1.	ადრე თუ იყო გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით	არა	არა
2.	მოქმედი და წინარე შემაკავებელი და დამცავი ორდერები	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
3.	ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება	ნაწილობრივ	არა
4.	ნასამართლეობა	არა	არა
5.	ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა	კი	არა
6.	ერიცხება თუ არა იარაღი	არა	არა

აუდიტის ჯგუფმა დააზუსტა არსებული მონაცემთა ბაზებისა და მათზე წვდომის საკითხები, რითაც გამოვლინდა შემდეგი:

- ძალადობასთან დაკავშირებით წინა გამოძახების ფაქტის არსებობის გადამოწმება შესაძლებელია 112-ის ბაზაში, სადაც გამოძახების ადგილი და ინციდენტი იწახება ხანგრძლივი დროით, თუმცა მორეაგირე ეკიპაჟს გამოძახებაზე გასვლისას, აღნიშნული ინფორმაცია 112-ის მიერ არ მიეწოდება.
- საპატრულო და უბნის ინსპექტორებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ შემთხვევის ადგილზე გასვლამდე, მათ არ აქვთ საშუალება გადამოწმონ, ერიცხება თუ არა მოძალადეს ცეცხლსასროლი იარაღი, რის გამოც პოლიცია პოტენციური საფრთხის მიმართ არასათანადოდ ინფორმირებულია. იმ შემთხვევაში, თუ ინიციატორის განცხადებაში ფიგურირებს იარაღი, 112-ის ოპერატორი ეკიპაჟს აწვდის ინფორმაციას აღნიშნული შესახებ.
- ასევე პატრულ-ინსპექტორებთან და უბნის ინსპექტორებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შემაკავებელი ორდერების ბაზაზე დაშვება არაერთგვაროვანია, თანამდებობის მიხედვით. გამოცემული ორდერები აღირიცხება სპეციალურ ბაზაში და მისი გადამოწმება შესაძლებელია სამორიგეოსთან დაკავშირებით, რაც ხორციელდება, ძირითადად, ადგილზე მისვლის შემდეგ, რადგან გადამოწმებისთვის საჭიროა პირადი ნომერი და პირის ზუსტი მონაცემები (სულ მცირე, სახელი და გვარი), რაც ინიციატორმა შესაძლოა ვერ დაასახელოს.
- ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება არ აღირიცხება ბაზაში, თუმცა შემაკავებელი ორდერის ოქმი ითვალისწინებს აღნიშნული მონაცემის დაფიქსირებას, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველია ინიციატორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
- ნასამართლობაზე წვდომა არ აქვს არც პატრულ-ინსპექტორს და არც უბნის ინსპექტორს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძალადობის გამეორების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. აღნიშნული ინფორმაციის მოძიება მორეაგირე პოლიციელს შეუძლია შემთხვევის შემდეგ, ხელმძღვანელობასთან გადამოწმებით.




- პატრულის თანამშრომლებისგან განსხვავებით, უბნის ინსპექტორებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე წვდომა არ აქვთ. აღნიშნული ართულებს უბნის ინსპექტორების საქმიანობას, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას ახდენს არა პატრული, არამედ უბნის ინსპექტორი. სამინისტროს მიხედვით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის თაობაზე ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გადამოწმდეს სამორიგეოსთან დაკავშირებით.

ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა ქმნის რისკს, რომ პოლიციელმა ძალადობის ფაქტი განიხილოს, როგორც ცალკე აღებული შემთხვევა, რაც მასზე ადეკვატური რეაგირებისთვის არასაკმარისია. აღნიშნული ასევე ამცირებს რისკის შეფასების ხარისხს, რადგან პოლიცია დამოკიდებულია მსხვერპლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, პოლიციელს შეუძლია დაუკავშირდეს ოპერატიულ მორიგეს, თუმცა აღნიშნულის გამოყენება, რესურსის გათვალისწინებით, არაპრაქტიკულია ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკითხთან დაკავშირებით.

3.3 ოჯახში ძალადობისგან დაზარალებულ პირების უსრულავი

ორდერის მოქმედების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის ჩამდენი დარწმუნებული იყოს ორდერის აღსრულების რეალურობაში.⁵⁹ იქიდან გამომდინარე, რომ მსხვერპლი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ორდერზე, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად ინსტრუმენტზე, ორდერის პირობების არათანმიმდევრული აღსრულება მას უსაფრთხოების მცდარ წარმოდგენას უქმნის. ამასთანავე, ორდერის აღსრულების მექანიზმის სისუსტე დაზარალებულში იწვევს უნდობლობას, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში თავს იკავებს სამართალდამცავ ორგანოებში მიმართვისაგან.

გრაფიკი 20. შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობა, 2015-2018 წლები (2018 წლის 9 თვე)⁶⁰



⁵⁹ National Council of Juvenile and Family Court Judges, Family Violence Department, Mentaberry, M. "A Guide for Effective Issuance and Enforcement of Protection Orders." p.3, U.S., (2005).

⁶⁰ პასუხისმგებლობა განისაზღვრა სსკ-ის 111-108, 109, 117, 118, 126, 126¹ მუხლებით. წყარო შინაგან საქმეთა სამინისტრო: www.police.ge.



2015 – 2017 წლებში შემაკავებელი ორდერების რაოდენობა წლიურად, საშუალოდ, 35%-ით იზრდება და დამცავი ორდერების რაოდენობას მნიშვნელოვნად აჭარბებს. შემაკავებელი ორდერების მზარდი რაოდენობა, ძალადობის შემთხვევებზე შსს-ს გააქტიურებულ რეაგირებაზე მიუთითებს.

2015 წლიდან 2018 წლის ივლისამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორდერის პირობების შესრულების მონიტორინგი არასათანადოდ მიმდინარეობდა, რის გამოც ორდერის პირობების დარღვევის თაობაზე, პოლიციისთვის ცნობილი ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი თავად აცნობებდა აღნიშნულის შესახებ.

ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების მექანიზმის ამოქმედებასთან ერთად, 2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის წესი.

მონიტორინგის დანყების საფუძველია შემაკავებელი ორდერის გაგზავნა შსს-ს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მონიტორინგი ხორციელდება მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციის გზით, რომლის სიხშირე დამოკიდებულია ძალადობის გამეორების რისკის ხარისხზე. დაბალი რისკის შემთხვევაში, მსხვერპლთან კომუნიკაცია სავალდებულოა ორდერის მოქმედების პერიოდში,⁶¹ მინიმუმ, 7 დღეში ერთხელ, საშუალო რისკის შემთხვევაში – მინიმუმ, 5 დღეში ერთხელ, ხოლო მაღალი რისკის შემთხვევაში – მინიმუმ, 3 დღეში ერთხელ.⁶²

ცხრილი 21. მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაცია ორდერის მონიტორინგის ფარგლებში

რისკი	მსხვერპლი		მოძალადე	
	ზარი	ვიზიტი	ზარი	ვიზიტი
დაბალი	3	1	1	–
საშუალო	4	1	–	1
მაღალი	5	2	–	2


2018 წლის სექტემბერში ძალადობის შემთხვევებზე შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსების შედეგად, რისკის დონეები შემდეგნაირად გადანაწილდა: ორდერების 30% – მაღალი რისკის, 51% – საშუალო, ხოლო 19% – დაბალი რისკის შემცველი საქმეებია.⁶³ ორდერის პირობების დაცვის მონიტორინგი ხორციელდება მხარეებთან სატელეფონო ზარების და გვერდი/არაგვერდი ვიზიტების საშუალებით.

⁶¹ მაქსიმუმ, 30 დღე.

⁶² შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია, 2018 წელი.

⁶³ შინაგან საქმეთა სამინისტრო, რისკის შეფასების სისტემის მონიტორინგის ანგარიში, სექტემბერი, 2018.

გრაფიკი 22. შემაკავებელი ორდერები რისკის დონის მიხედვით, 2018 წლის სექტემბერი



აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შსს-ში მოქმედ ორდერების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არასრულად არის ასახული შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობა, რაც, ერთი მხრივ, პრობლემატურია ორდერის აღსრულების, ხოლო, მეორე მხრივ, ძალადობის ისტორიის გათვალისწინებისა და რისკის შეფასების თვალსაზრისით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორდერების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილია 2017 წელს გამოცემული დამცავი ორდერების მხოლოდ 22%, რაც დამცავი ორდერების აღსრულებას სათანადო ყურადღების მიღმა ტოვებს. დამცავი და შემაკავებელი ორდერები ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება და მათი ზედამხედველობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება, თუმცა, ოჯახში ძალადობის კანონის მიხედვით, სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ შემაკავებელი ორდერების სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვა მოეთხოვება.⁶⁴ ორდერის მონიტორინგის ახალი ინსტრუქცია მორგებულია შემაკავებელი ორდერის აღსრულებაზე და არ შეიცავს მითითებას დამცავ ორდერებთან დაკავშირებით.

ძალადობის ისტორიაზე ინფორმირებულობის გადამოწმების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა 50 შემაკავებელი ორდერი, რომელსაც უფიქსირდებოდა ძალადობის ისტორია.

ცხრილი 23. ორდერების ანალიზი ისტორიის მითითების მიხედვით (2016 - 2017 წლები)

გაანალიზებული ორდერი	რაოდენობა	პროცენტულად
არ შეიცავს ინფორმაციას ძალადობის ისტორიის (მაგალითად, გამოწერილი ორდერები) შესახებ	22	44%
ძალადობის მხარე თავად უთითებს ახსნა - განმარტებაში ადრე გამოცემული ორდერების თაობაზე	14	28%
შეიცავს ისტორიას	14	28%
სულ:	50	100%

⁶⁴ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 3⁷, ქვეპუნქტი „ა.ბ“, 2006.

ორდერების ანალიზით გამოვლინდა, რომ მოძალადის ისტორია არ არის მითითებული ორდერების 72%-ში. 14 შემთხვევიდან, რომელსაც ახლავს ისტორია, 3 შემთხვევაში ინფორმაცია ორდერების არსებობის შესახებ არ ფიქსირდება, მიუხედავად იმისა, რომ პირის სახელზე გამოცემულია ორდერი, ხოლო 3 შემთხვევაში ორდერების შესახებ არ ჩანს სრული ინფორმაცია. შედეგად, რისკის ქვეშ დგება ორდერების დარღვევაზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება და მათი ძალადობის ისტორიაში გათვალისწინების შესაძლებლობა.


3.4 მოძალადის ბაზილეზა

სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, მსხვერპლთან მიახლოების აკრძალვა ნიშნავს, რომ მოძალადემ უნდა დატოვოს საცხოვრებელი ადგილი, რაც დაზარალებულს ორდერის მოქმედების პერიოდში აძლევს საცხოვრებელით სარგებლობის უფლებას. აღნიშნული პრაქტიკა აქტიურად გამოიყენება სლოვენიაშიც და მისი მიზანია დისკომფორტი და ბარიერი შეუქმნას მოძალადეს, რაც მას ძალადობრივი ქმედების გამეორების სტიმულს დაუკარგავს და შესაბამისად, ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას.

ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით⁶⁵, პოლიცია უფლებამოსილია დამცავი ან შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში მოძალადე გაარიდოს საცხოვრებელი სახლიდან იმ შემთხვევაშიც, თუ საცხოვრებელი მოძალადის საკუთრებაა.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, თავშესაფრით მოსარგებლე პირებიდან, დაზარალებულზე დამოკიდებული პირების რაოდენობა დაზარალებულთა რაოდენობაზე მაღალია. 2017 წელს, საშუალოდ, დაზარალებულზე ერთზე მეტი დამოკიდებული პირი მოდის. აღნიშნული მიუთითებს, რომ ხშირია დაზარალებულის და მასზე დამოკიდებული რამდენიმე პირის საცხოვრებელიდან გარიდება. შესაბამისად, დაზარალებული განიცდის დისკომფორტს და თავშესაფრის დატოვების შემდეგ, უწევს მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად ახალი საცხოვრებლის ძიება.

გრაფიკი 24. თავშესაფრით მოსარგებლე ბენეფიციარები და მათზე დამოკიდებული პირები



⁶⁵ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 18² მუხლი, 2006.

მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებულია მოძალადის სახლიდან გარიდება, პრაქტიკაში მისი განხორციელება რთულია. იმის გამო, რომ პოლიციაში არ მოქმედებს დროებითი განთავსების დაწესებულება, ნასვამობის შემთხვევაში, მოძალადის სახლიდან გარიდება გართულებულია, რადგან მისი ღამით გარეთ დატოვება საფრთხის შემცველია როგორც საზოგადოებისთვის, ისე თავად მოძალადისთვის.


ამასთანავე, არ არის შემუშავებული ორდერის მოქმედების პერიოდში მხარეების საცხოვრებელი სახლიდან განცალკევების სამოქმედო ინსტრუქცია, რომელიც ხელს შეუწყობდა პოლიციელს, გარიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. სიტუაციის შესაბამისად, მიზანშეწონილია არა დაზარალებულის და მასზე დამოკიდებული რამდენიმე პირის მოძალადისგან გარიდება, არამედ მოძალადის (ერთი პირის) გარიდება საცხოვრებელი სახლიდან, რაც ძალადობის ჩამდენისთვის არახელსაყრელი პირობების შექმნით, ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას.

3.5 ქალი პოლიციელის ჩაერთობა

შსს-ს ოჯახში ძალადობის საკითხებზე პოლიციის სახელმძღვანელოს მიხედვით, თუ პირველადი ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლი ქალი, ან არასრულწლოვანია, სასურველია მათთან კონტაქტის გაადვილების უზრუნველსაყოფად, შემთხვევის ადგილზე გამოცხადდეს ქალი პოლიციელიც. სახელმძღვანელოს მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვანებთან ქალი პოლიციელის გასაუბრება უფრო ეფექტიანია.⁶⁶

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქალი პატრულ-ინსპექტორის/უფროსი პატრულ-ინსპექტორის რაოდენობა აღნიშნულ თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა საშუალოდ 3%-ია, ხოლო უბნის ინსპექტორების/უფროსი უბნის ინსპექტორების საშუალოდ – 13%.

გრაფიკი 25. ქალ პოლიციელთა რაოდენობა 2018 წლის მდგომარეობით



⁶⁶ ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, 2010 წელი.



ტერიტორიული თვალსაზრისით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 58 ტერიტორიული ორგანოდან ქალი პატრულ-ინსპექტორი/უფროსი პატრულ-ინსპექტორი არ არის დასაქმებული 76%-ში (44 ორგანო), ხოლო კრიმინალური პოლიციის 418 სამმართველოდან – 61%-ში (255 სამმართველო).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც ქალი პოლიციელი დასაქმებული არ არის, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მათი ჩართვა თავისთავად ვერ ხერხდება, ხოლო იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც ქალი პოლიციელები დასაქმებული არიან, არ ხორციელდება სპეციალური პრიორიტეტის მინიჭება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გენდერულად დაბალანსებული ეკიპაჟის გაგზავნის მხრივ.


3.6 ეკონომიკური ძალადობა ხანდაზმულებზე

მშობლების მიმართ შვილების მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით⁶⁷ (შემდგომ – სსკ), რომლის მიხედვით, სრულწლოვან შრომისუნარიან შვილებს ევალებათ არჩინონ თავიანთი შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც მატერიალური დახმარება სჭირდებათ.

შვილებს ასევე შეიძლება დაეკისროთ დამატებით ხარჯებში მონაწილეობა, რომლებიც გამომწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (მშობლების მძიმე ავადმყოფობით და სხვ.). ამდენად, სსკ გამოირჩევა ჰუმანური მიდგომით და მაქსიმალურად ქმნის ოჯახის მოხუცი წევრების დაცვის შესაძლებლობას.

ტერმინი „ეკონომიკური ძალადობა“ საქართველოს კანონით განიმარტება, როგორც ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.⁶⁸

გრაფიკი 26. ძალადობის ფორმები შემაკავებელი ორდერების მიხედვით, ეკონომიკური ძალადობა ასაკობრივ ჯგუფში (2017 წელი)



⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-1220 მუხლებით.

⁶⁸ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 4, 2006.

ეკონომიკური ძალადობის გამოვლენა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შსს-სთვის გამოწვევას წარმოადგენს. 2017 წლის მონაცემებით, ეკონომიკურ ძალადობაზე მოდის ძალადობის ფორმების 3% (143 შემთხვევა), რომელიც ყველა შემთხვევაში გამოვლენილია ძალადობის სხვა ფორმებთან ერთად. ეკონომიკური ძალადობის ასაკობრივ ჯგუფში განხილვიდან ჩანს, რომ ძალადობის მსხვერპლთა 42%, 45 წელს ზემოთ ასაკის პირია.

საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებად განსაზღვრავს დამცავ და შემაკავებელ ორდერებს, თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური ძალადობა გამოიხატება არა მოქმედებით, არამედ უმოქმედობით, აღნიშნული დამცავი მექანიზმების გამოყენება არ ქმნის საკმარის საფუძველს მსხვერპლის დასაცავად. კანონით არასრულწლოვანი პირების უგულებელყოფის შემთხვევაში, დაწესებულია რეაგირების განსხვავებული მექანიზმი (მზრუნველობის ცენტრში განთავსება), რისი გავრცელება მიზანშეწონილია აღნიშნულ შემთხვევაშიც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ხანდაზმულების მიმართ ეკონომიკური ძალადობის შემთხვევებზე შესაბამისი რეაგირების ქმედითი მექანიზმის შემუშავება (ძალადობის ფორმის – უგულებელყოფის ხანდაზმულებზე გავრცელება ან ეკონომიკურ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება), რაც ხელს შეუწყობს მათთვის საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობას.

დასკვნა

შინაგან საქმეთა სამინისტროში 2018 წლიდან ოჯახში ძალადობაზე რეაგირების თვალსაზრისით რიგი მექანიზმები დაინერგა (რისკის შეფასება, შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის წესი, სასჯელის გამკაცრება). აღნიშნული წინგადადგმული ნაბიჯია და თვისობრივად აუმჯობესებს ძალადობის შემთხვევებზე სამინისტროს მხრიდან რეაგირების პროცესს. მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც ასუსტებს დანერგილი მექანიზმების და განხორციელებული რეაგირების შედეგიანობას. ძალადობის რისკის შეფასება და საპასუხო ღონისძიების განსაზღვრა, ძალადობის ისტორიის გათვალისწინებას საჭიროებს. აღნიშნული ინფორმაციის მორეაგირე პირებისთვის ხელმისაწვდომობით და დამცავი ორდერის სათანადო აღრიცხვით, პოლიციელი შეძლებს რისკის უკეთესად შეფასებას, რაც ხელს შეუწყობს მსხვერპლის დაცულობის ხარისხის გაზრდას და საპასუხო ზომების განსაზღვრისას ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული კი ადევრატური რეაგირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების და ძალადობისგან დაცვის მექანიზმების სათანადო აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილია უზრუნველყოს:
 - ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მორეაგირე პოლიციელებისთვის საჭირო ინფორმაციაზე (ძალადობის წინა ისტორია და სხვ.) ხელმისაწვდომობა, რაც შედეგად რისკის სწორად შეფასებით ხელს შეუწყობს მსხვერპლის დაცულობის ხარისხის გაზრდას და სამართალდარღვევაზე შესაფერისი საპასუხო ღონისძიების განსაზღვრას.
 - სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში როგორც დამცავი, ისე შემაკავებელი ორდერების აღრიცხვა, რაც შექმნის სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების წინაპირობას.
- დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობისა და ორდერების სათანადოდ აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილია მოამზადოს გარიდების პროცესის შესაბამისი ინსტრუქცია. ასევე მიზანშეწონილია სამინისტრომ განიხილოს მოძალადის მიმართ გარიდების პრაქტიკული საშუალებების დანერგვის შესაძლებლობა.



4. ქაღალდის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული მექანიზმები

4.1 უწყებათაშორისი კომისია – ოჯახში ქაღალდის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მათი მხარდაჭერა კომპლექსური პროცესია. სხვადასხვა უწყებათაშორისი დანერგულებების (ჭანდაცვა, განათლება, შსს და ა.შ.) თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების⁶⁹ აუცილებელი პირობაა. იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება სახელმწიფო უწყებების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, სტამბოლის კონვენციის თანახმად,⁷⁰ მნიშვნელოვანია ქვეყანაში ოფიციალური **მაკოორდინებელი ორგანოს** არსებობა.

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, მაკოორდინებელი ორგანო პასუხისმგებელია იმ პოლიტიკის და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომლებიც მიმართულია კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისკენ.

კოორდინაციის მიზნით, საქართველოში 2008 წელს (პარლამენტის შემადგენლობაში) შეიქმნა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო“. 2014 წელს საბჭო გადავიდა აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობაში, ხოლო 2017 წელს გაუქმდა და შეიქმნა „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია (შემდგომ – უწყებათაშორისი კომისია)“.

გრაფიკი 27. საქართველოში მოქმედი მაკოორდინებელი ორგანოს ცვლილება 2008-2017 წლებში



⁶⁹ მთავრობის დადგენილება N437, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია, 2016 წელი.

⁷⁰ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), მე-10 მუხლი (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ).

უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შედიან:

- სამინისტროების წარმომადგენლები მინისტრის მოადგილეების დონეზე;
- სათათბირო ხმის უფლებით – საქართველოს სახალხო დამცველი;
- სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური;
- სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოების წარმომადგენლები.

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე არის პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

უწყებათაშორისი კომისია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით და მუშაობს სამი მიმართულებით:

- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა;
- გენდერული თანასწორობა;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 – (პოსტკონფლიქტის ძალადობა).⁷¹

უწყებათაშორისი კომისია შეიმუშავებს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის შესასრულებელ სამოქმედო გეგმებს, ახორციელებს გეგმით განსაზღვრული საქმიანობის კოორდინაციას, მონიტორინგსა და პერიოდულ ანგარიშგებებს.

სამოქმედო გეგმის შერუშავება

უწყებათაშორისი კომისიის მიერ სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: კვლევებით გამოვლენილი ხარვეზების შეჭამების მიზნით, ხორციელდება რელევანტური დოკუმენტების თავმოყრა, როგორცაა, სახალხო დამცველის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების კვლევები, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული რეკომენდაციები:

- კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ (CEDAW)⁷²
- უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)⁷³
- მდგრადი განვითარების მიზნები (SDG)⁷⁴
- გაეროს სპეციალური მომხსენებლების ანგარიშები.⁷⁵

⁷¹ აღნიშნული სამი მიმართულებიდან აუდიტის მასშტაბი ფარავს ოჯახში ძალადობის მიმართულებას.

⁷² United Nations Human Rights Office of the High Commissioner, The Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW) is the body of independent experts that monitors implementation of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women.

⁷³ United Nations Human Rights Council, The Universal Periodic Review (UPR) is a process which involves a periodic review of the human rights records of all 193 UN Member States.

⁷⁴ United Nations Sustainable Development Goals (SDG), Targets to be achieved by 2030.

⁷⁵ United Nations Human Rights Office of the High Commissioner appoints a special Rapporteur (currently Dubravka Symonovic) on violence against women that is mandated to seek and receive information, recommend ways to eliminate violence.



კვლევებით გამოვლენილი საკითხების შეჯამების შემდეგ ტარდება შეხვედრები სამინისტროების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, რომელშიც ასევე მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები.⁷⁶ 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, 2017 წელს ჩატარდა 3, ხოლო 2018 წელს – 2 შეხვედრა. რეკომენდაციები წარმოდგენილ იქნა: 3 არასამთავრობო ორგანიზაციის, ერთი – საერთაშორისო ორგანიზაციის და სახალხო დამცველის მხრიდან. სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში შემდეგი ნაკლოვანებები გამოიკვეთა:

გეგმაში არ არის განსაზღვრული საქმიანობის უსაზღვრობის საჭირო ბიუჯეტი

სამოქმედო გეგმაში მითითებული უნდა იყოს ამოცანები, მისგან გამომდინარე აქტივობები და აქტივობის შესრულებისთვის საჭირო თანხა, რომელთათვის გამოყოფილია სახელმწიფო დაფინანსება. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს განსაზღვრულია თუ არა კონკრეტული დონორის დახმარება.⁷⁷ აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ რეალისტურად დაიგეგმოს საქმიანობები და დადგინდეს პრობლემის მოგვარებისთვის გამოყენებული და ათვისებული რესურსების რაოდენობა.

2016-2017 წლების და 2018-2020 წლების ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმა მთავრობის მიერ აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ბიუჯეტის განსაზღვრის გარეშე დამტკიცდა, რაც გამოწვეულია უწყებების მიერ სავარაუდო ხარჯების დათვლის გამოცდილების არქონით⁷⁸ და კომუნიკაციის ხარვეზებით, კერძოდ, გეგმის შემუშავების პროცესში შესაბამისი ეკონომიკის ან/და საფინანსო დეპარტამენტის კადრები არ იყვნენ დროულად ჩართულნი.⁷⁹

გეგმით უსაზღვრავალი აქტივობების ანაოპტიმალური ჩაოქონოქა

გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის საკითხებთან შეხების მქონე პროფესიული ჯგუფებისთვის (სამართალდამცავები, მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი და ა.შ.) ძალადობის საკითხებზე სავალდებულო ტრენინგების ჩატარება. ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პროფესიული ტრენინგები და განერილია თითოეული უწყების მიერ წლის განმავლობაში ჩასატარებელი ტრენინგების რაოდენობა.

⁷⁶ გაეროს და ევროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციები (დონორი ორგანიზაციები).

⁷⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს N427 დადგენილება საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების – „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე.

⁷⁸ სხვადასხვა ფუნქციის შესრულებისას დროის და ხელფასის რა წილი იხარჯება ძალადობის და გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე.

⁷⁹ 2019 წელს 2018-2020 წლის გეგმა განახლებული ფორმით, დაფინანსების წყაროს გრაფით, წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად.



ცხრილი 28. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის 1.1.1 საქმიანობის შესრულება

პასუხისმგებელი უწყება	მიზნობრივი ჯგუფი	გეგმით განსაზღვრული ტრენინგების რაოდენობა	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	მიზნობრივი ჯგუფების ჯამური რაოდენობა
შინაგან საქმეთა სამინისტრო	შსს-ს თანამშრომლები	4	18	574	7403 ⁸⁰
მთავარი პროკურატურა	პროკურატურის თანამშრომლები	4	6	130	692 ⁸¹
ჯანდაცვის სამინისტრო	პირველადი ჯანდაცვის მუშაკები	6	2	47	23,000 ⁸²
სოციალური სააგენტო	სოციალური მუშაკები	8	18	255 (2016წ) 50 (2017წ)	279
იუსტიციის უმაღლესი სკოლა	მოსამართლეები /თანაშემწეები	2	2	9	294
განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ზოგად საგანმანათლებლო და პროფესიული დანესებულების პედაგოგები/დირექცია	რაოდენობა არ არის განსაზღვრული	4	352	65,445 ⁸³

აღნიშნულ პერიოდში, ოჯახში ძალადობის თემაზე 23,000 ექიმიდან პროფესიული ტრენინგი ჩატარდა 47-ს, ხოლო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩატარდა ორი ტრენინგი, სადაც მონაწილეობა მიიღო 9 მოსამართლემ და 13-მა მოსამართლის თანაშემწემ. მიუხედავად იმისა, რომ გეგმით გათვალისწინებული აქტივობა შესრულდა, 9 მოსამართლის გადამზადება არასაკმარისია საქმიანობით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად (სულ 294 მოსამართლეა). განათლების სამინისტროს შემთხვევაში, ტრენინგების რაოდენობა განსაზღვრული არ ყოფილა.

გეგმით განსაზღვრულია მხოლოდ ტრენინგების რაოდენობა და არა მიზნობრივი ჯგუფის მოცუვა ან ტრენინგების საჭირო ხანგრძლივობა საათებში, რაც არ არის საკმარისი ღონისძიებით მიღებული შედეგების შესაფასებლად კომისიის პრიორიტეტებთან მიმართებაში.

აღნიშნული გარემოების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ის, რომ კომისია არ მონაწილეობს სამინისტროების მიერ გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრაში. სამინისტროები თავად ადგენენ შესასრულებელ საქმიანობას. ამასთანავე, უწყებათაშორის კომისიას არ გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსი საქმიანობის ოპტიმალური რაოდენობის დადგენისთვის საჭირო ანალიზის ჩასატარებლად. აღნიშნული კი შედეგებზე ორიენტირებული გეგმის შედგენის მთავარი წინაპირობაა.

⁸⁰ პატრულ-ინსპექტორი, უბნის ინსპექტორი.

⁸¹ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის განკარგულება N615 „საქართველოს პროკურატურის 2017 წლის სამტაბო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ მიხედვით, პროკურატურაში 860 თანამშრომელია, ხოლო ადმინისტრაციული თანამშრომლების გარეშე - 692.

⁸² საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი, ტალღა 10, ადამიანური რესურსი ჯანდაცვის სექტორში, სიტუაციური ანალიზი, 2018.

⁸³ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - 2016-2017 წლების მდგომარეობით.



სამოქმედო გეგმის შესრულება


ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელი ღონისძიებების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას:

გრაფიკი 29. 2016-2017 წლების გეგმის ძირითადი მიმართულებები



თითოეულ მიმართულებას გააჩნია მიზანი, საბაზისო და საბოლოო ინდიკატორი, ამოცანა, საქმიანობის შემსრულებელი წამყვანი და დამხმარე პასუხისმგებელი უწყება. უწყებათაშორისი კომისია ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელშიც შეფასებულია გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების სტატუსი.

გრაფიკი 30. სამოქმედო გეგმის შესრულების სტატუსი (2014-2017 წლები)




სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ 2016-2017 წლებში გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის – 50%, ხოლო 2014-2015 წლებში საქმიანობის – 69% არასრულად შესრულდა.

ამასთანავე, 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის 7 შეუსრულებელი საქმიანობის ანალიზიდან გამოვლინდა, რომ 7-დან 5 შემთხვევაში საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი კომისიაა.

ანალიზის შედეგად, ასევე გამოვლინდა საქმიანობის არასწორად შეფასების შემთხვევები. კერძოდ, კომისიამ საქმიანობას მიანიჭა სრულად შესრულებულის სტატუსი, მაშინ როდესაც, საქმიანობა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. ქვემო განხილულია ორი ილუსტრაცია.



გრაფიკი 31. საქმიანობის შედარება 2016-2017 და 2018-2020 წლების გეგმებში



2016 - 2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქმიანობა 2.2.1-ის მიხედვით, უნდა განხორციელებულიყო „ეროვნული რეფერალური მექანიზმის გადასინჯვა და დამტკიცება“. პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ ეროვნული რეფერალური მექანიზმი გადასინჯა, მაგრამ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში არ დამტკიცდა, რის გამოც ეროვნული რეფერალური მექანიზმის დამტკიცებამ 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში გადაინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობის ნაწილი შემდეგი წლის გეგმაში გადავიდა, ანგარიშში შესრულების სტატუსი მითითებულია, როგორც „სრულად შესრულებული“.

საქმიანობა 1.2.2 ითვალისწინებს ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას. აღნიშნულ შემთხვევაშიც, შესრულების სტატუსად მითითებულია *სრულად შესრულებული*, მაშინ როდესაც, შესრულებაზე ერთ-ერთი პასუხისმგებელი – მუნიციპალური ორგანოები არიან. ინფორმაციას მუნიციპალური ორგანოების მიერ საქმიანობის შესრულების შესახებ, კომისია არ ფლობს. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობისთვის სტატუსის მინიჭებისას არ მომხდარა მუნიციპალური ორგანოების შეფასება და გათვალისწინება.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიას გააჩნია გეგმის შესრულების მონიტორინგის ფუნქცია, აღნიშნული ფუნქცია სუსტია. ღონისძიების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები არ ანალიზდება და შესაბამისი რეესტრი არ დგება, შეუსრულებლობის მიზეზები მხოლოდ ზეპირად განიხილება კომისიის სხდომაზე.

ცხრილი 32. საქმიანობა, რომელიც გეგმის შემდგომ სამოქმედო პერიოდში გადადის

აქტივობა	სამოქმედო გეგმა (2013-2015)	სამოქმედო გეგმა (2016-2017)	სამოქმედო გეგმა (2018-2020)
ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის წარმოება ერთიანი სტანდარტის მიხედვით	✓	✓	✓
დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	✓	✓	✓
დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოძალადეებისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის შემუშავება და შემდგომი განხორციელება.	✓	✓	✓
ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შეფასების შედეგების საფუძველზე, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება.	✓	✓	✓



გარდა ამისა, კომისიას არ აქვს ბერკეტი შეუსრულებელ აქტივობებზე რეაგირების სახით, (ჩართულია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო). შედეგად, ხშირია რიგი მნიშვნელოვანი აქტივობების წლების მანძილზე გეგმის ერთი სამოქმედო პერიოდიდან შემდგომ პერიოდში გადატანა.

4.2 სწავლების ამაღლების ღონისძიებები

2016-2017 წლების ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ოჯახში ძალადობის პრევენცია. ოჯახში ძალადობის შემცირების და პრევენციისთვის, პირველ რიგში მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ძალადობისადმი მიმდებლობითი დამოკიდებულების ცვლილება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი საშუალებებით:

- სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლებიც ცნობიერებას აამაღლებს თანასწორობის და ადამიანის უფლებების პატივისცემისადმი;
- საჯარო სექტორში ქცევის კოდექსის (ნულოვანი ტოლერანტობა ძალადობისადმი) და შესაბამისი რეფერალის მექანიზმის შემუშავება (Safe Complaint Procedure);
- ქალთა ხელშეწყობა და ინფორმირება მათი უფლებების, ძალადობისაგან დაცვის საშუალებების შესახებ.

კვლევების მიხედვით,⁸⁴ ბოლო წლებში საზოგადოების ცნობიერება ძალადობასთან მიმართებაში გარკვეულწილად გაუმჯობესდა, რაც ძალადობისადმი მიმდებლობითი დამოკიდებულების მქონე პირთა პროცენტული წილის შემცირებაში გამოიხატება, თუმცა ცნობიერების მხრივ, მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი რჩება.

აუდიტის ჯგუფის მიერ, თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით მოსარგებლე 21 ბენეფიციარის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში მოხვედრამდე ბენეფიციართა მხოლოდ 10% ფლობდა ინფორმაციას ოჯახში ძალადობისგან დაცვის საშუალებების შესახებ, ხოლო ბენეფიციართა 52% საერთოდ არ იყო ინფორმირებული ძალადობისგან დაცვის საშუალებების არსებობის თაობაზე. 38% იყო ნაკლებად ინფორმირებული მედიარგოლების და სხვა საშუალებების (არასამთავრობო ორგანიზაცია, მეგობარი, სამსახური და ა.შ.) მეშვეობით.

ცხრილი 33. თავშესაფრის და კრიზისული ცენტრის ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგები

ოჯახში ძალადობისგან დაცვის საშუალებებზე ბენეფიციარი:	თავშესაფარი (თბილისი, გორი)	კრიზისული ცენტრი (თბილისი)	სულ	%
იყო ინფორმირებული	0	2	2	10%
იყო ნაკლებად ინფორმირებული	5	3	8	38%
არ იყო ინფორმირებული	5	6	11	52%
გამოკითხულ ბენეფიციართა რაოდენობა სულ:	10	11	21	100%

⁸⁴ UNWomen, Geostat, National Study on Violence against Women, 2009, UNWomen, Geostat, National Study on Violence against Women, 2017.

თავშესაფრის ბენეფიციართა განცხადებით, დაცვის მექანიზმებზე ინფორმირებულობის შემთხვევაში, გაცილებით ადრე გადადგამდნენ ნაბიჯებს ძალადობრივი ურთიერთობის დასრულების მიზნით. შესაბამისად, ინფორმაციის ნაკლებობამ შესაძლოა ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ 20 ბენეფიციარიდან⁸⁵ 12-ს, 3 წელზე მეტი დრო დასჭირდა შესაბამისი ზომების მისაღებად.

ცხრილი 34. ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგები, ძალადობრივი ურთიერთობის ხანგრძლივობა

ძალადობრივი ურთიერთობა გრძელდებოდა	თავშესაფარი (თბილისი, გორი)	კრიზისული ცენტრი (თბილისი)	სულ	%
3 წელი და მეტი	5	7	12	60%
1-2 წელი	3	3	6	30%
1 წლამდე	1	1	2	10%
გამოკითხულ ბენეფიციართა რაოდენობა სულ	9	11	20	100%

ამასთანავე, შევითხვამ, თუ რატომ იკავებდნენ თავს პოლიციაში მიმართვისგან, ძირითადად, საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება და შიში დასახელდა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის გეგმით გათვალისწინებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების რაოდენობა ცალსახად არასაკმარისია და ვერ პასუხობს საზოგადოებაში არსებულ მცდარ შეხედულებებს.⁸⁶

ძალადობის შემთხვევების აღიარება

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლი სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს, როდესაც მდგომარეობა გართულებულია. გრძელვადიან პერსპექტივაში ძალადობის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო, სამედიცინო, სოციალური და სხვა შუალედური რგოლის ჩართვა ძალადობის ადრეული გამოვლენის პროცესში. პროფესიიდან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებს აქვთ ოჯახებთან ხშირი შეხება და შეუძლიათ მოახდინონ ძალადობის ნიშნების ადრეული იდენტიფიცირება.

⁸⁵ ერთმა ბენეფიციარმა პასუხი ვერ დააფიქსირა შევითხვამზე.

⁸⁶ საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, 2017, გვ. 5.




გრაფიკი 35. პრევენციის სისტემაში ჩართული მხარეები

შინაგან საქმეთა სამინისტრო	სოციალური სამსახურები	ჯანდაცვის სამინისტრო	განათლების სამინისტრო
უბნის ინსპექტორს და პატრულ-ინსპექ- ტორს აქვთ ხშირი შეხება კრიმინა- ლური ისტორიის მქონე პირებთან და შეუძლიათ რისკიანი ოჯახების იდენტიფი- ცირება	სოციალურ მუ- შაკს და სოციალურ აგენტს უწევს სოცია- ლური პრობლემების მქონე ოჯახებთან ხშირი ვიზიტები, რაც აძლევთ საშუალე- ბას გამოავლინონ რისკის შემცველი ოჯახები, როგორც ბავშვებში, ასევე ხან- დაზმულებში	ოჯახის ექიმი ან სოფლის ექიმი ინფორმირებულია თითოეული პაციენტის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ და ამჩნევს ფიზიკური ძალადობის და ბავშვის უგულებელყოფის შემთხვევებს	მანდატურებს, სკოლისა და ბაღის მასწავლებლებს უშუალო კავშირი აქვთ ბავშვებთან და მათთან კომუნიკაციის შედეგად შეუძლიათ ამოიცნონ ძალადობის ირიბი ან პირდაპირი ნიშნები

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ბავშვზე ძალადობის შეტყობინების ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას.⁸⁷ აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება რეფერირების წესით განსაზღვრულ სუბიექტებზე, როგორცაა, პოლიცია, საგანმანათლებლო და სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები, მათ შორის, სოფლის ექიმი და სხვ.

გრაფიკი 36. სოციალური მომსახურების სააგენტოში შესული შეტყობინებების წყაროები (2013-2017)



⁸⁷ ასკ-ის 172⁶ მუხლის მიხედვით, ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ამ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის შეტყობინებლობის შემთხვევაში, ფიზიკური პირი დაჯარიმდება 100 ლარამდე ოდენობით, დანესებულება – 200 ლარამდე ოდენობით.

სოციალური მომსახურების სააგენტოში 2013-2017 წლებში (5 წლის მანილზე) დაფიქსირდა 2,973 ბავშვზე ძალადობის შესახებ შეტყობინება. შეტყობინებების ანალიზით ჩანს, რომ ხშირი ინიციატორია პოლიცია, სკოლა და სოციალური მუშაკი. მნიშვნელოვნად დაბალია მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულების, საბავშვო ბაღების, პროკურატურის და სოციალური აგენტის მხრიდან⁸⁸. მიუხედავად ამისა, არსებობს აღნიშნულ ჯგუფების ჩართულობის გაზრდით ძალადობის ადრეული გამოვლენის გაუმჯობესების პოტენციალი, მაგალითად, სოციალურ აგენტს უნევს სოციალური პრობლემების მქონე ოჯახებთან ვიზიტი, რაც მას აძლევს რისკის შემცველი ოჯახების ადრეული გამოვლენის საშუალებას.

შსს-ს მონაცემებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁶ მუხლით – ბავშვზე ძალადობის შეუტყობინებლობა – არც ერთი პირი/დაწესებულება არ დაჯარიმებულა. აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაში არ სრულდება, თუმცა კომისიას აღნიშნული ინფორმაციის საპასუხოდ, ღონისძიებები არ დაუგეგმავს. ასევე არ არის შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმი, რომლითაც დადგინდება, რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული სუბიექტების მიერ აღნიშნული ვალდებულება რამდენად შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ არსებული მდგომარეობით, ძალადობის შეტყობინების ვალდებულება არსებობს მხოლოდ არასრულწლოვნებთან მიმართებაში, ხოლო საზოგადოების სხვა წევრების შემთხვევაში, შესაბამისი მექანიზმი (რეფერირების წესი) დამტკიცებული არ არის, რაც ძალადობის ფაქტების ადრეული იდენტიფიცირების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გასაჯაროება

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მნიშვნელოვანია მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება, რაც მოითხოვს ყველა რელევანტური ადმინისტრაციული წყაროდან **სისტემური და შესადარი** მონაცემების შეგროვებას.

ოჯახური დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ანალიზი, რაც მიიღწევა სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით და შედეგებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

მაგალითად, გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიხედვით, მნიშვნელოვანია ფემიციდის შემთხვევებზე სტატისტიკური მონაცემების წლიური გამოქვეყნება, სადაც მითითებული იქნება როგორც მსხვერპლის ასაკი, სქესი და კავშირი დამნაშავესთან, ასევე დამნაშავეს გასამართლების და სასჯელის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია.⁸⁹

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, ოფიციალური მაკოორდინებელი ორგანო კოორდინაციას უნდა უწევდეს ძალადობის შემთხვევებზე მონაცემების შეგროვებას, **ანალიზებდეს და ავრცელებდეს** მის შედეგებს,⁹⁰ ანალიზის შედეგები კი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

⁸⁸ სოციალური აგენტი არის სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც ახდენს სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერას.

⁸⁹ United Nations Special Rapporteur on Violence against Women, Its Causes and Consequences, Dubravka Simonovic, 2018.

⁹⁰ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია, მე-10 მუხლი.



საქართველოში მოქმედი უწყებათაშორისი კომისიის დებულების მიხედვით, კომისიის ძირითადი ამოცანაა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის **ხელშეწყობა**, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული ფუნქციის შესრულებაზე კონკრეტული პასუხისმგებელი უწყება განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, მოცემული გარემოება ვერ უზრუნველყოფს კონვენციის მოთხოვნების შესრულებას

მიუხედავად იმისა, რომ კომისია საუკეთესოდ არის პოზიციონირებული იმისათვის, რომ გააანალიზოს სტატისტიკური მონაცემები და შეიმუშაოს შესაბამისი მიგნებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები, კომისია ოჯახური დანაშაულების შესახებ ინფორმაციის, სქესის ნიშნით „სეგრეგირებული“ მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას არ ახდენს.

შესაბამისად, ძალადობრივ დანაშაულებზე მონაცემები გაფანტულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში (შსს, პროკურატურა, სასამართლო, საქსტატი და ა.შ.). თითოეული უწყება ასაჯაროებს ინფორმაციას მისი კომპეტენციის ფარგლებში, თუმცა, ძირითადად, აღნიშნული მონაცემები არის ფრაგმენტული, ზოგადი და არ ემსახურება ერთიანი სურათის გადმოცემას. ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის საკითხების მიმართ ცნობიერების ღონის ამაღლების მიზნით, 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის ვებგვერდის შექმნა, რომელიც გეგმის ვადის ფარგლებში და არსებული მდგომარეობით შექმნილი არ არის.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე საკითხზე ორი უწყების მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავებულია. აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია ძალადობის დანაშაულზე სტატისტიკის ერთიანი სტანდარტისა და ერთიანი სისტემის არარსებობით, რის გამოც, სტატისტიკური მონაცემები შესადარი არ არის.

ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობა ხელს უშლის აგრეგირებული მონაცემთა ბაზის შექმნას, რაც ართულებს საჭიროებაზე მორგებული სამოქმედო გეგმის/პროგრამებისა თუ სერვისების დაგეგმვასა და განხორციელებას. ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები გეგმაში გაწერილია, თუმცა შესრულებული არ არის.

მუნიციპალიტეტების ჩართულობა

ოჯახში ძალადობის წინაამდგვ ბრძოლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების აქტიური ჩართულობა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებაში. 2017 წლის მონაცემებით, ძალადობის შემთხვევები 100 ათას მოსახლეზე რეგიონებში, განსაკუთრებით აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში – თბილისზე მაღალია.



გრაფიკი 37. ძალადობის შემთხვევები რეგიონებში მცხოვრებ 100,000 მოსახლეზე, 2017 წელი ⁹¹



ოჯახში ძალადობის 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებში გასატარებელი ცნობიერების ამაღლების რიგი ღონისძიებები, რომელთა შესრულებაზე გეგმის მიხედვით პასუხისმგებელი – მუნიციპალიტეტის ორგანოებია. აღნიშნულ ღონისძიებებს მიეკუთვნება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლების და მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომლებისთვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება, რეგიონებში განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან საგანმანათლებლო საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და შერჩეულ გეოგრაფიულ ერთეულებში რელიგიური ლიდერების ჩართვა.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტების მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების თაობაზე ინფორმაცია კომისიისგან გამოითხოვა. კომისიის თანახმად, ინფორმაციის გამოთხოვის მექანიზმის არარსებობის გამო, მუნიციპალიტეტების მიერ შესრულებულ საქმიანობაზე მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ.⁹²

გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების თაობაზე მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით, კომისია ინფორმაციას არ ფლობს, რაც გამოწვეულია კომუნიკაციის ნაკლოვანებებით. კერძოდ, კომისიის მიერ მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ვალდებულებების განსაზღვრა მოხდა, კონკრეტული ორგანოს და პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების, ინფორმირების და გეგმის შემუშავების პროცესში ჩართვის გარეშე.

კომისიამ „მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება“⁹³ 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით ცალკე აქტივობად განსაზღვრა, ხოლო ცნობიერების ამაღლების ზემოაღნიშნული ღონისძიებების 2018-2020 წლის გეგმაში გათვალისწინება აღარ მომხდარა.

⁹¹ ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში, 9 ოქტომბერი, 2018.

⁹² კომისიის პასუხის მიხედვით.

⁹³ საქმიანობა 1.2.1

ქსავის კონკრეტული პუნქტი

ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართულ კურსებს, რომელიც გულისხმობს მოძალადის მიერ ძალადობრივი ქცევის შეცვლისკენ და მისი ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

აღნიშნული ღონისძიებების მიზანია ძალადობის განმეორების თავიდან აცილება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოძალადის მიერ ძალადობრივ ქცევასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის აღიარება, აგრეთვე მის დამოკიდებულებებსა და ქცევაში მიღწეული დადებითი ცვლილებების შენარჩუნება.

კვლევების მიხედვით,⁹⁴ ქცევის კორექციის კურსები უფრო ეფექტიანია ძალადობის საწყის ეტაპზე, ხოლო მისი გამოყენება გვიან ეტაპზე (რეციდივის დონეზე) მხოლოდ 5%-ით ამცირებს⁹⁵ ძალადობის შემთხვევებს. შესაბამისად, კურსების დამცავი ორდერის ეტაპზე შეთავაზებით, მოძალადეზე შესაძლებელია გავლენის მოხდენა და დანაშაულის გამეორების რისკის შემცირება.

მოძალადის ქცევის კორექციის კურსები, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონით გათვალისწინებულია დამცავი ორდერის მიღების შემთხვევაში. ამავ კანონის მიხედვით, მთავრობას 2015 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა განეხორციელებინა კურსების ორგანიზებისათვის საჭირო ღონისძიებები და განესაზღვრა უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო, რაც პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

დასკვნა

იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უწყებათაშორისი კომისიის ეფექტიან ფუნქციონირებას. კომისიის საქმიანობის შესწავლით გამოიკვეთა ანალიზის, მონიტორინგის და კომუნიკაციის ფუნქციების სისუსტე, რაც ადამიანური რესურსების ნაკლებობით არის განპირობებული. იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობის გეგმით გაწერილი საქმიანობები პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს, საჭიროა კომისიის ფარგლებში ანალიტიკური პროცედურების, მონიტორინგის, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე კომუნიკაციის ფუნქციური გაუმჯობესება, ყოველივე ამის მიღწევა კი უზრუნველყოფილი ვერ იქნება კომისიის ინსტიტუციური გაძლიერების გარეშე.

⁹⁴ MacMillan, H.L and Wathen, C.N. Prevention and Treatment of Violence against Women: Systematic Review & Recommendations, CTFPHC Technical Report N01, 2001.

⁹⁵ Eckhardt, Christopher I., Christopher Murphy, Danielle Black, and Laura Suhr. "Intervention Programs for Perpetrators of Intimate Partner Violence: Conclusions From A Clinical Research Perspective." Public health reports 121, no. 4 (2006): 369-381.



ჩაკონკრეტო

ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კომისიამ მიზანშეწონილია უზრუნველყოს, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.
- ოჯახში ძალადობის შემთხვევების ადრეული იდენტიფიცირების ხელშეწყობის მიზნით, კომისიამ შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვანია შეიმუშაოს და დანერგოს ძალადობის ადრეული გამოვლენის მექანიზმები (მაგალითად: ბავშვების სავალდებულო სამედიცინო შემოწმების, სკრინინგის პროგრამის და ა. შ. ფარგლებში).
- მოხუცებზე ეკონომიკური ძალადობის შემთხვევებზე ქმედითი რეაგირების მიზნით, კომისიამ პასუხისმგებელ უწყებებთან (შსს, სოციალური მომსახურების სააგენტო) ერთობლივი ძალისხმევით, მიზანშეწონილია უზრუნველყოს რეაგირების არსებული პროცედურების დაზუსტება/განახლება (მოხუცებზე უგულებელყოფის გავრცელება ან ეკონომიკურ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება), რომელიც მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გახდის მსხვერპლისათვის ამ კუთხით არსებულ სახელმწიფო სერვისებს. ასევე კომისიამ მნიშვნელოვანია განსაზღვროს ქცევის კორექციის კურსებზე პასუხისმგებელი ორგანო და ხელი შეუწყოს მის დროულ დანერგვას.

4.3 სოციალური მომსახურების სააგენტო - ქაღალბა ბავშვებზე

ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, მდგომარეობის შეფასების და სწორი დამცავი მექანიზმის შერჩევის მიზნით, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის ჩართულობის უზრუნველყოფა. ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში შესული ცვლილებით, ძალადობის მსხვერპლად ითვლება ასევე ბავშვი, რომელიც ოჯახში ძალადობის მონაწილეა.⁹⁶

სოციალურმა მუშაკმა ბავშვზე ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღებისას უნდა განახორციელოს ვიზიტი ბავშვის მდგომარეობის შეფასების მიზნით, მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის დასაცავად შემაკავებელი ორდერის გამოწერის საჭიროების არსებობის შესახებ და გადაუდებელ/უკიდურეს შემთხვევაში უზრუნველყოს ბავშვის ოჯახიდან განცალკევება და/ან ბავშვის ალტერნატიულ სერვისებში განთავსება. სოციალური მომსახურების სააგენტოს როლი ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, მოიცავს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

- ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასება;
- შემთხვევის მართვა, კონსულტირება;
- გადაუდებელ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება მოძალადისგან ბავშვის განცალკევების შესახებ და საჭირო მომსახურების სერვისებში ბავშვის განთავსება;
- ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და რეესტრების წარმოება.⁹⁷


⁹⁶ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მუხლი 4, „ვ“ ქვეპუნქტი, 2006.

⁹⁷ მთავრობის დადგენილება N437, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია, მუხლი 1, 2016 წელი.




ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ფარგლებში, 2017 წელს სოციალური დაცვის სააგენტომ ძალადობაზე მიმართვა მიიღო 840 ბავშვზე,⁹⁸ მათ შორის, 6 – შშმ პირზე. 608 შემთხვევაში (72%), მოძალადე მხარე ოჯახის წევრია. 2017 წელს არასრულწლოვნის დასაცავად პოლიციამ გამოსცა 104 შემაკავებელი ორდერი, 5 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა დამცავი ორდერი, ხოლო მშობლის უფლება შეიზღუდა 13 შემთხვევაში. ძალადობის ფაქტი დადასტურებულია 482 შემთხვევაში.

გრაფიკი 38. სოციალური მომსახურების სააგენტოში ბავშვზე ძალადობის შესახებ მიმართვა (2013-2017 წლები)



ბავშვზე ძალადობის შემთხვევებს შორის ჭარბობს ფიზიკური ძალადობა და უგულვებელყოფა. 2017 წელს ალტერნატიულ სერვისში განთავსდა 121 ბავშვი (მინდობით აღზრდა – 73, მცირე საოჯახო ტიპის სახლი – 29, სხვადასხვა თავშესაფარი – 19).⁹⁹ რეგიონებს შორის, მომართვა მაღალია იმერეთის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან.

გრაფიკი 39. ბავშვზე ძალადობის ფაქტების განაწილება რეგიონების მიხედვით (2017 წელი)



⁹⁸ 340 – მამრობითი, 480 – მდედრობითი.

⁹⁹ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში.

სოციალური მუშაკის ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში საჭიროების შესაბამისად, ვერ ხერხდება შემდეგი მიზეზების გამო:

სოციალური მუშაკების ანასაკმარისი რაოდენობა / დახვეწილობა

ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციის მიხედვით, მსხვერპლს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სოციალურ მომსახურებაზე. კონვენციის მიხედვით, აღნიშნულ სამსახურს უნდა ჰქონდეს შესაფერისი რესურსები და ჰყავდეს სპეციალისტები, რომლებსაც გავლილი ექნებათ მომზადება მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის მიზნით და რომლებიც შეძლებენ მათ შესაბამის სამსახურებში გადამისამართებას.¹⁰⁰

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში სოციალური მომსახურების სააგენტოს ფარგლებში დასაქმებულია 255 სოციალური მუშაკი, მათგან 71 დანიშნულია თბილისში.

ცხრილი 40. სოციალური მუშაკების რაოდენობა 100,000 მოსახლეზე¹⁰¹

ქვეყანა	სოციალური მუშაკის რაოდენობა 100,000 მოსახლეზე
ევროკავშირი	1851
სლოვენია	772
მოლდოვა	32
საქართველო	7

საქართველოში 100 ათას მოსახლეს 7 სოციალური მუშაკი ემსახურება, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნების პრაქტიკას, მაგალითად, სლოვენიაში 100 ათას მოსახლეზე გათვალისწინებულია 772 სოციალური მუშაკი.

აღნიშნულს ემატება უფლება-მოვალეობების სიმრავლე. სოციალური მუშაკები მუშაობენ, დაახლოებით, 32 მიმართულებით (სოციალურად დაუცველი ბავშვები, ხანდაზმულები, შშმ პირები, შვილად აყვანის პროცედურები, მინდობით აღსაზრდელები, მეურვეობა/მზრუნველობა და სხვა მხარდაჭერის ღონისძიებები). სოციალური მუშაკების საქმიანობიდან მაღალია დატვირთვა საპროცესო წარმომადგენლობის¹⁰² განხორციელებაზე – 22%, ხოლო ძალადობის შემთხვევებზე მოდის საქმეების – 5%.


¹⁰⁰ „ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია“, მუხლი 20, პუნქტი 2.

¹⁰¹ Parliamentary question concerning the resolution of the staffing difficulties of the centers for social work to the Minister of Labor, Family, Social Affairs and Equal Opportunities of Slovenia, 13 February 2018.

¹⁰² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონიერი წარმომადგენლობის ფუნქციის შესრულება.




გრაფიკი 41. სოციალური მუშაკების პროცენტული გადანაწილება საქმიანობის მიხედვით (2017 წ.)



საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის რეკომენდაციით, სოციალური მუშაკების დატვირთვა უნდა განისაზღვროს თვეში 20 საქმის წარმოებით.¹⁰³ სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა სოციალური მუშაკის დატვირთვა თვეში 11-დან 15 საქმით.¹⁰⁴ 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში თითო სოციალურ მუშაკზე თვეში, საშუალოდ, 120-მდე საქმე მოდის, რაც 6-ჯერ აღემატება რეკომენდებულ საქმეთა რაოდენობას და ართულებს სოციალური მუშაკის მიერ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას.

გრაფიკი 42. სოციალური მუშაკის საშუალო თვიური დატვირთვა რეგიონების და თბილისის რაიონების მიხედვით (2015-2017 წლები)



¹⁰³ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვის განსაზღვრა, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპები, 2015 წელი.

¹⁰⁴ Tony Nakhimoff, Guide To Effective Caseload Allocation, p. 11, 2015.

სოციალური მუშაკების რაოდენობის სიმცირე და უფლება-მოვალეობების სიმრავლე უარყოფითად აისახება სოციალური მუშაკების დასკვნების ხარისხზე და ქმნის რისკს, რომ სოციალური მუშაკის კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები პრაქტიკაში ჯეროვნად არ სრულდება.

არსებული მდგომარეობით, სოციალური მუშაკები ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფენ ორდერით გათვალისწინებული საკითხების მონიტორინგს და ბავშვის ზედამხედველობის გეგმის ფარგლებში პერიოდული ვიზიტების განხორციელებას. სოციალური მუშაკები საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვრავენ მიმართონ მსხვერპლთან სატელეფონო კომუნიკაციას, თუ განახორციელონ ვიზიტი. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს ინსტრუქციით, ზედამხედველობის პროცესში დადგენილია არანაკლებ ერთი ვიზიტი თვეში, სააგენტომ განხორციელებული ვიზიტების შესახებ დოკუმენტური ინფორმაცია ვერ წარმოადგინა.¹⁰⁵

აქვე აღსანიშნავია, რომ ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მიმართვიანობა სოციალური მომსახურების სააგენტოში სწრაფი ტემპით იზრდება. 2017 წელს დაფიქსირდა 840 ბავშვზე მომართვა, მაშინ როდესაც, 2018 წლის მხოლოდ 9 თვის მონაცემებით, მომართვა დაფიქსირებულია 2,555 ბავშვზე (მომართვა 204%-ით გაიზარდა). ოჯახში ძალადობის სამოქმედო 2018-2020 წლების გეგმით გათვალისწინებულია სოციალური მუშაკების რაოდენობის 10-30% - ით ზრდა. აღნიშნულის ფონზე, 2017 წლის ჩათვლით სოციალური მუშაკის საშტატო ერთეული 2018 წელს 279-დან 255-მდე (10%-მდე) შემცირდა.

სოციალური მუშაკის უზრუნველყოფის ხარისხისა და ხარისხობა – საშუალო ბიზნისი

ბავშვზე ძალადობის და უგულვებელყოფის გადაუდებელი შემთხვევა შეიძლება დაფიქსირდეს როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო საათებში. სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული პრაქტიკით, სოციალური სამსახურის მორიგე სოციალური მუშაკი ახორციელებს არასამუშაო დროს – ღამით, შაბათ-კვირას და უქმე დღეებში საჭირო სერვისის მიწოდებას.¹⁰⁶

აღნიშნული სერვისის მიზანია, დახმარება გაუწიოს პირადი და ოჯახური პრობლემების მქონე პირებს, რომლებიც არასამუშაო საათებში კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებიან. კრიზისულ მდგომარეობად ითვლება შემთხვევა, რომლის გადადგმა შემდეგ სამუშაო დღემდე შეუძლებელია. სერვისის ფარგლებში ხორციელდება ადგილზე გასვლა და პირისთვის დახმარების აღმოჩენა, კრიზისულ შემთხვევასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და საჭირო სერვისებში გადამისამართება.¹⁰⁷

საქართველოში სოციალური მუშაკების სამუშაო საათები განსაზღვრულია 9:00 - 18:00 საათამდე. უქმე დღეებში და შაბათ-კვირას სოციალური მუშაკები არ მუშაობენ. შესაბამისად, აღნიშნული დროის ფარგლებში ძალადობის შემთხვევის დაფიქსირებისას, სოციალური მუშაკების

¹⁰⁵ სააგენტოს ოფიციალური პასუხის თანახმად, შემთხვევაზე დადგენილი ზედამხედველობა აისახება სოციალური მუშაკის ვიზიტის ფორმაში და ინახება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში.


¹⁰⁶ Child Emergency Duty Teams, England, available at: <https://www.leeds.gov.uk/docs/121Childrens%20Emergency%20Duty%20Team.pdf>

¹⁰⁷ Regional Emergency Social Work Service, Ireland, available at: http://therowan.net/wp-content/uploads/2013/04/130520_leaflet.pdf



ჩართვა დაცვის ღონისძიებებში გართულებულია.¹⁰⁸ როგორც გრაფიკიდან ჩანს, ძალადობის შემთხვევებზე შეტყობინებები სამუშაო საათებში – 37%, ხოლო არასამუშაო საათებში – 63% ფიქსირდება, რომლის განმავლობაში სოციალური მუშაკების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

გრაფიკი 43. სსიპ - „112-ში“ ოჯახში ძალადობაზე დაფიქსირებული შეტყობინებები დროის მიხედვით (2017 წელი)



სოციალური მუშაკის სამოქმედო ინსტრუქციის მიხედვით, თუ ბავშვზე ძალადობის ფაქტი დადასტურებულია პოლიციის შემთხვევებელი ორდერით (*გარდა არასამუშაო საათებისა, 18:00 საათიდან დილის 9:00 საათამდე, დასვენების ან უქმე დღეებში გამოცემული შემთხვევებელი ორდერებისა*), ბავშვზე ძალადობის ფაქტზე შეტყობინების მიღებისთანავე სოციალური მუშაკი გადის შემთხვევის ადგილზე, აკეთებს სიტუაციურ ანალიზს და უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებაში ან/და მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.) ბავშვის გადაყვანას.¹⁰⁹

არასამუშაო საათებსა და დასვენების ან უქმე დღეებში შემთხვევებელი ორდერების გამოცემის შემთხვევაში, ბავშვის გადაყვანა შესაბამის მომსახურების პუნქტში ხორციელდება პოლიციისა და სოციალური სამსახურის ერთობლივი **კონსულტირების** საფუძველზე.¹¹⁰

აღნიშნული პრობლემას ქმნის პოლიციას და სოციალურ მუშაკს შორის კოორდინაციის თვალსაზრისით, რადგან არასამუშაო საათებში სოციალურ მუშაკებთან დაკავშირება გართულებულია. აღნიშნული საკითხი პრობლემატურია ასევე სოციალური მუშაკებისთვის, რომლებიც გადაუდებელი მდგომარეობის გამო, ხშირად კეთილი ნებით ცხადდებიან შემთხვევაზე არასამუშაო საათებში, რისთვისაც ანაზღაურებას არ იღებენ.

¹⁰⁸ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები ახორციელებენ არასრულწლოვანის საპროცესო წარმომადგენლობას, რომლის განხორციელების დრო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, განსაზღვრულია 08:00-22:00 საათი. შესაბამისად, საპროცესო წარმომადგენლობის აღნიშნული დროის ფარგლებში დანიშნვისას სოციალური მუშაკი ახორციელებს წარმომადგენლობას.

¹⁰⁹ მთავრობის დადგენილება N437, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია, მუხლი 6, ქვეპუნქტი 1, 2016.

¹¹⁰ იქვე, მუხლი 6, ქვეპუნქტი „1.ბ“.

დასკვნა

ძალადობის ყოველი შემთხვევის მართვაში განსაკუთრებული როლი სოციალური სამსახურის ჩართულობას ენიჭება, რომელმაც უნდა დაიცვას მსხვერპლის ინტერესები და მიანოდოს მას საჭირო ინფორმაცია არსებული დაცვის საშუალების თაობაზე. არსებული მდგომარეობით, სოციალური სამსახური ჩართულია მხოლოდ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებში, თუმცა მათი სიმცირიდან, არაპროპორციული სამუშაო დატვირთვის და შეზღუდული სამუშაო საათებიდან გამომდინარე, კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციები პრაქტიკაში სრულყოფილად ვერ სრულდება. სოციალური მუშაკების რაოდენობის, დატვირთვის და მათი ხელმისაწვდომობის საკითხების უკეთესი მართვა სოციალური მუშაკების ჩართულობის ზრდის და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა.

რეკომენდაცია

სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- სოციალური მუშაკის არასამუშაო საათებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ მიზანშეწონილია დანერგოს სოციალური მუშაკების მორიგეობის მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს დასვენების დღეებში, შაბათ-კვირას და არასამუშაო საათებში ძალადობის გადაუდებელ შემთხვევებზე შეუფერხებელ რეაგირებას.



ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989);

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979);

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984);

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, (2006);

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997);

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999);

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, (2011)

საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების: „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-სა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ს“ დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის N427 დადგენილება, 2015 წ.;

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება;

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის N04-519/ო ბრძანება;

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ (2011);

„შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ოქმებისა და ინსტრუქციის დამტკიცების“ შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 20 ივლისის ბრძანება;

„შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის“ შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის ბრძანება;



სახელმძვანელოები და პუბლიკაციები

Eckhardt, Christopher I., Christopher Murphy, Danielle Black, and Laura Suhr. "Intervention programs for perpetrators of intimate partner violence: Conclusions from a clinical research perspective." Public health reports 121, no. 4 (2006);

Tony Nakhimoff, Guide To Effective Caseload Allocation, (2015).

National Council of Juvenile and Family Court Judges, Family Violence Department, Mentaberry, M. "A Guide for Effective Issuance and Enforcement of Protection Orders." (2005);

U.N. Economy & Social Council, Radhika Coomaraswamy, Report of the Special Rapporteur on Violence Against Women, Its Causes and Consequences, (1996);

United Nations Special Rapporteur on Violence against Women, Its Causes and Consequences, Dubravka Simonovic, (2018).

Wathen, C. Nadine, and Harriet L. MacMillan. "Prevention of violence against women: recommendation statement from the Canadian Task Force on Preventive Health Care." Canadian Medical Association Journal 169, no. 6 (2003);

საერთაშორისო ფონდი კურაციო, ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი, ტალდა 10, ადამიანური რესურსი ჯანდაცვის სექტორში, სიტუაციური ანალიზი, (2018).

საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, (2018);

საქართველოს სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, (2017).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვის განსაზღვრა, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპები, (2015);

საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, (2017);

სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ავტორთა ჯგუფი, კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი, მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი, ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი, (2010);

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია, (2018);

შინაგან საქმეთა სამინისტრო, რისკის შეფასების სისტემის მონიტორინგის ანგარიში, (2018).



აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

მაია მიშველაძე
აუდიტორი

მ. მიშველაძე

მარიამ მაჩიტაძე
აუდიტორ-ასისტენტი

მ. მაჩიტაძე



